


# საბჭოთა რევოლუციის



№ 23

სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური პარტია

№ 23

რედაქცია და კანტორა

ტფილისი, პლესანოვის პროს. სასტუმრო „ნ. ო. ე.“ ოთახი № 102.

ფ ა ს ი

ნ კახ. ბაჯაღლო ოქროთი

რედაქცია და კანტორა

ლიაა ყოველ დღე { თილისი 9-1-ლგ. საღამოს 3-5 1/2-ლგ. კვირა-უქმე დღეს 10-8 ს.-ლგ.

## ინგლისის სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური პარტია

14 აპრილს გაიხსნა ინგლისის და საბჭოთა კავშირის კონფერენცია.

ამ კონფერენციის მიზანია ურთიერთთან შეთანხმების მიღწევა და საღაო საკითხების მოწესრიგება.

როგორც ასეთს, ამ კონფერენციას მერად დიდი და სერიოზული საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს.

დღეს ამ კონფერენციის მუშაობას თვალყურს ადევნებს მთელი მსოფლიო, როგორც საბჭოთა კავშირის მტრნი, ისე მოყვარენი.

ამ კონფერენციის შეთანხმებით დასრულებულია დამოკიდებული ზოგიერთ იმ სახელმწიფოების პოლიტიკაც, რომელნიც მოკდის ნიადაგზე ღვანან და გადაჭრით არაფერს ლაპარაკობენ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლების შესახებ.

ამ კონფერენციის სასურველად დამთავრებას დიდი, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ინგლისის, ისე საბჭოთა კავშირისათვის.

საბჭოთა კავშირთან ნორმალური ურთიერთობის დამყარება ეს ინგლისის ხალხის არსებითი ინტერესების მოთხოვნილებაა. ძნელია ინგლისში უმუშევრობის მოსპობა და საერთაშორისო ომით მიერ გამოწვეული ქრილობების საცხებობი მოშუშება, თუ მას არ ექნება მეკობრეული და კომერციული ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, რომელიც მეტად მდიდარია ნედლი მასალით და ბუნებრივი სიმდიდრით.

ინგლისის უმუშევრობას მაკონანალი ვერ მოსპობს სამხედრო გემების, კრეისერების აგებით, როგორც ამას ის აცხადებდა ამას წინეთ პარლამენტში ერთ შეკითხვაზე.

მეორეს მხრით მსოფლიოში მშვიდობიანობა ვერ დამყარდება მანამ, სანამ მსოფლიოს სა-

ხელმწიფოთა საერთო ზოგახი გერმანიას და საბჭოთა კავშირს ვერ გაუშვებს ჯეროიან ანგარიშს. ჩვენ არ ვართ ისე გულუბრყვილონი, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში მსოფლიო მშვიდობიანობის შესახებ გიოცნებოთ, მაგრამ საბჭოთა კავშირის და გერმანიის საერთაშორისო ოჯახში (არა დღევანდელ თიქტიურ და ულუნო ერთა ლიგაში მხოლოდ) შეყვანა, მათთვის ღირსეული ადგილის დათმობა თავის თავად ხელს შეუწყობს დროებითი მშვიდობიანობის განმტკიცებას მაინც. ეს ნათელია!

საბჭოთა კავშირისათვის, რასაკვირველია დიდი მნიშვნელობა აქვს ინგლისთან შეთანხმებას და მასთან კომერციულ და საერთოდ ნამდვილი ეკონომიური ურთიერთობის განახლებას.

ინგლისი დღეს, მიუხედავად იმისა, რომ იქ „მუშათა“ მთავრობაა, უაღრესად კაპიტალისტური ქვეყანაა და მასთან პოლიტიკურ-ეკონომიური თანამშრომლობის ნიადაგზე სხვა კაპიტალისტური ქვეყნებიც დაარწმუნდებიან ასეთი თანამშრომლობის დამყარების აუცილებლობაში და ჯიუტობას, ჯინიანობას უკუაღებენ და საბჭოთა კავშირთან დაიწყებენ თანამშრომლობას. ეს კი საბჭოთა ქვეყნებს მისცემს საშუალებას გაათკიცებულ ენერგიით განაგრძონ და განავითარონ დაწყებული კულტურულ-ეკონომიური ამღშენებლობა.

მაგრამ თუ ამ თანამშრომლობისათვის საბჭოთა კავშირის მოთხოვნ დიდ საფასურს, რევოლუციის მონაბოვართა ლიკვიდაციას, ცხადია, ის ამაზე არ დასთანხმდება და კონფერენცია ჩაიშლება ან, რიგორც წინეთ ჩამოილა არა ერთი და ორი კონფერენცია.

მაგრამ ამ შემთხვევაში საბჭოთა კავშირი არ ინანებს, უკეთესია კონფერენცია ჩაიშალოს, ვინემ რევოლუციის საწინააღმდეგო აქტზე იქნას ხელი მოწერილი.

თუ მაინცა და მაინც ინგლისის მუშათა მთავრობა გაჯიუტდება და ანგარიშს არ გა-

უშვებს იმ დათმობებს, რომელზედაც საბჭოთა კავშირი მიდის და კონფერენციას ჩაშლის, ამით უფრო მეტს დაპარავებს თვით ინგლისის დღევანდელი „მუშათა“ მთავრობა, ვინემ საბჭოთა კავშირი, რომელიც დიდი დღე უმართოთა თიხზე დგება და წინ მიდის.

ინგლისის მუშათა კლასი ამით პირისპირ დაინახავს საქმის ვითარებას და თავის დღევანდელ მეთაურებს სათანადო პასუხს მოსთხოვს. აი ასე დგას კითხვა საბჭოთა კავშირისათვის.

მაგრამ მაკონანალი და მისი მთავრობა ტყვეთ ჰყავს ინგლისის ბურჟუაზიას. ეს თვით მისი განცხადებებიდანაც სჩანს: „ნუ გგონიათ, რომ ფულის საწყობები ჩვენს ბანკებში იყოს, არა, ის კერძო მოქალაქეთა ხელშია და თუ ისინი არ დაკმაყოფილდა, ისე კრედიტის მიცემის საქმე არ იქნება რეალური.“

უბედურება ამაშია, ბ. მაკონანლოდ, მთავრობა თქვენს ხელშია, ხოლო ქვეყნის ეკონომიური სადავი ბანკირების.

ამ ყამად ინგლისის ბურჟუაზიაში არის ორი მიმდინარეობა. ერთი საბჭოთა კავშირთან დათმობაზე წასვლის და მასთან ურთიერთობის აუცილებლად განახლების, ხოლო მეორე უფრო შეუიერიბელი, რომელიც ვალების და კერძო პირთა ქონების სრულად ანაზღაურების ნიადაგზე სდგას. კონფერენციის ბედი იმაზეა დამოკიდებული, თუ რომელი ამ მიმდინარეობათაგანი გაიმარჯვებს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ პირიერი მიმდინარეობას უფრო მეტი შანსები აქვს გამარჯვების და მოსალოდნელია შეთანხმების მიღწევა, თუქცა არ არის გამოიცილებული კონფერენციის ჩაშლაც.

ასეთია ამ კონფერენციის მნიშვნელობა და პერსპექტივები.

კერძოდ საქართველოს „პატრიოტული“ ნაწილი და განსაკუთრებით მენშევიკური პარტიის ნამსვრევები, რომლებიც ინტერვენცი-

იდან და მკაცრად აღიქვამენ მოვლადენ ხსნას, ამ დღეებში ნათლათ დარწმუნდებიან მათი იმედების სრულ და სასტიკ დამსხვრევაში. ამის წინასწარ თქმა კი გადაჭრით შეგვიძლია.

### დიდი აკონომიური გადასახე და ჩვენი მოვლამება.

ფულის რეფორმა, რომელიც ამ ეამად ტარდება საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირში, თავისთავად ნიშნავს დიდ ეკონომიურ გადატეხას.

მოილო ბოლო ამიერ-კავ. და საბჭ. ფულის ნიშნებს, რომლის კურსი საშინლად ეცემოდა, და მისი ადგილი დაიჭირა მაგარმა ვალიუტამ.

ამ დიდ რეფორმას მოყვა ფასების დაკლება ზოგიერთ საქონელზე, რომლითაც მიღდარია ჩვენი სახელმწიფო, მტკიცე ფასებიც იქმნა დაწესებული.

ფულის რეფორმა მოითხოვდა ბაზრის მოწყობას, სხეულობის შეზღუდვას, ალაგმვას. წინააღმდეგ შემთხვევაში ფულის რეფორმის მოვლადეა საფრთხე.

მოთავრებამ ამ გარემოებას თავის დროზე გააჩინა ანგარიში და შიოდება შინაური ვაჭრობის ნორმალურ პირობებში ჩაყენებას.

მტკიცე ფასები გამოიხატებოდა პურზე, შაქარზე, მარილზე და ნავთზე. ყველა ეს საგნები სახელობითოს ხელშია და სამყოფია ჩვენი რესპუბლიკის კავშირისთვის.

ამიტომ სრულიად შესაძლებელია ამ საგნებზე მტკიცე ფასების გამოცხადება და ცხოვრებაში გატარება.

გარდა ამისა სპეციალური დეკრეტით გადასახე ვაჭრობის დაოწმონ თასი ყველა საგნებზე არა ნაკლებ 15 პროცენტისა იმ ადგილას, სადაც არის საკონტროლო დაწესებულებანი, და არანაკლებ 20 პროცენტის იქ, სადაც არაა ასეთი დაწესებულებანი.

რა გზით შეიძლება ამის გატარება ცხოვრებაში? საჭიროა თვით მუშათა მასსამ გაუწიოს კონტროლი, ადევნოს თვალყური, რომ ეს დადგენილება მტკიცე იქნეს გატარებული, ცხოვრებაში.

აღმსკომებთან შექმნილია სიძვირის წინააღმდეგ მებრძოლი კომისიები.

საჭიროა მიეცეს ამ კომისიებს ცნობები, თუ სადმე ირღვევა ეს დადგენილება.

გარდა ამისა საჭიროა მიეცეს სერიოზული ყურადღება შინაურ ვაჭრობას. სამი წელია, რაც ახალი ეკონომიური პოლიტიკა ტარდება. ამ დროს განმავლობაში შესამჩნევად გაიზარდა ჩვენი სახალხო მეურნეობა. ჩვენ გადავდგით წინ დიდი ნაბიჯი, ვაგმავრდით როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურად.

მაგრამ იქნებოდა დიდი შეცდომა მიგვეცა გზა თავი ძილისთვის.

ახალ ეკონომიურ პოლიტიკას მოყვა ბევრი უარსაყოფი, მიაღებელი მოვლენები. ერთი ასეთი უარსაყოფი მოვლენაა ქალაქის ბურჟუაზიის ფეხის მომაგრება.

სამი წლის წინანდ ამხ. ლენინის ხელმძღვანელობით მიღებული კურსი ჩვენი სამეურნეო პოლიტიკაში აშენებული იყო საშუალო და

ღარიბ გლეხურ მეურნეობის ინტერესებთან შეფარდებით. მტკიცე კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის—ამ დღეებში ახალი ეკონომიური პოლიტიკის, რაც ნაკარნახევი იყო ჩვენი, როგორც შინაური მდგომარეობით, აგრეთვე პროლეტარიატის საერთაშორისო ბრძოლის პირობებშია.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა იყო ერთი ნაბიჯი უკან დახევა მრავალ მილიონიან გლეხობის წერილ ბურჟუაზიულ სტიქიის წინაშე, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავდა ჩვენი ძირითადი პოზიციების დათმობას ვინმესთვის. მოთვარი მიზანი—გზა სოციალიზმისაკენ ურყევი რჩებოდა. მხოლოდ ვფიქრობდით ამ გზაზე სიარულს და ბრძოლას ახალი იარაღით, თანამედროვე პირობებთან შეფარდებით.

სამუშებროთ ახალ ეკონომიურ პოლიტიკას ვერ აუღო სწორი ალო ბევრმა ახანავამ, რომლებიც საბასუხისმგებლო სამეურნეო ფრონტზე მუშაობდნენ.

ამით და მხოლოდ ამით ახსნება ის გარემოება, რომ 1922—1923 საოპერაციო წელს კერძო კაპიტალმა წვრილმა ვაჭრობაში დაიჭირა 83, 4%, წვრილმა ბითუმ ვაჭრობაში 50, 4%, ხოლო ბითუმ ვაჭრობაში 14, 5%.

ეს გარემოება დამაფიქრებელია. კერძო ვაჭრული კაპიტალი უკვე მისწვდა ვაჭრობაში ჩვენს საკომანდო სიმაღლეებს და თუ დროზე არ იქმნა მიღებული საჭირო ზომები, კერძო კაპიტალი ვაგმავრდება იქ, სადაც დაუშვებელია მისი არსებობა.

პარტიამ უკვე მიაქცია ყურადღება ამ გარემოებას.

რ. კ. პ. ცეკას უკანასკნელ პლენუმზე შინა ვაჭრობის საკითხი ერთ დამკვერელ ხასიათის საკითხს წარმოადგინდა.

პარტიამ საჭიროთ დაინახა დაარსდეს შინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, რომელიც მოაგვარებს შინა-ვაჭრობის საქმეებს და არ მისცემს კერძო ვაჭრულ კაპიტალს საშუალებას დაეშუქროს ჩვენს საკომანდო სიმაღლეებს. საჭიროა აგრეთვე შეიქმნეს ისეთი პირობები, რომ ჩვენმა სახელმწიფო და კოოპერატიულმა ვაჭრობამ შესძლოს გაბატონება შინა ვაჭრობაში და უკანა პოზიციებზე გადავდდის კერძო კაპიტალი.

ცენტრალურ საკონტროლო კომისიის უკანასკნელ პლენუმზე დადგენილი იქმნა, რომ თვით მუშებმა, ძირითად ორგანიზაციებმა მიაქციონ ყურადღება ჩვენი სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობას, ჩვენი ახანავების პოლიტიკას ამ დაწესებულებებში და მიუთითონ დღეუტებზე.

მუშათა მასიური კონტროლი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ჩვენი სამეურნეო ფრონტის გასაჯანსაღებლად.

გათავებებული კერძო კაპიტალი დღეს იერიშით მოდის სახელმწიფო კაპიტალზე.

საჭიროა მდგარი შეტევა და ამ კაპიტალის გადაგდება უკანა პოზიციებზე.

ეს შესაძლებელია მხოლოდ ჩვენი სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის გაძლიერებით, გაჯანსაღებით.

ამ საქმეში კი აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს მუშათა ფართო მასებმა.

ეს საქმე დაკავშირებულია ფულის რეფორმასთან. ამ დიდ ეკონომიურ ფაქტთან ერთად

უნდა მიიღოს გაათქეცებული მუშაობა ჩვენი სამეურნეო ფრონტის უფრო მეტ განმტკიცებისთვის.

მტკიცე ვალიუტის შემოღება გვაძლევს დიდ შესაძლებლობას. დღეს არ შეუძლია ლაპარაკი სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობას ზარალზე ფულის კურსის დაცემის გამო.

თუ ჩვენი სამეურნეო ფრონტი დღეს არ იქმნა ფიზიკური, ეს ფულის რეფორმაც აუცილებლად იქმნება გამოყენებული კერძო კაპიტალის მიერ თავის კიდევ უფრო გასამაგრებლად, რაც დაუშვებელია ჩვენი კლასობრივი თვალთა ხედვის ისრით.

ა. რ.



### პიღვ ფულის რეფორმის გარემო.

ამიერ-კავკასიაში ამ ეამად უდიდესი მნიშვნელობის ამბები ხდება.

ცხოვრებაში ტარდება და უკვე სინამდვილედ იქცა ის, რაზედაც ოცნებობდა დანაშაულოდ შეიძლებოდა ჩაგვეთვალა ორიოდ წლის წინათ.

15 აპრილიდან აქ დაიწყო გატარება ფულის რეფორმის.

ბოლო მოილო მერყევი ბონების შემდეგ ბეჭდას. დაწესდა მისი სავალდებულო, გამოსაცხადი კურსი.

ბივრს კი გარემოება დღეს არ სჯერა, სიზმარში ჰგონიანთ თავი.

მთელ რიგ წლებში ფულის მერყეობამ, კურსის ცვალებადობამ პირდაპირ ჭკუა დაუფარა მდამიო მოქალაქეს და დღეს გამზრუებულია. ბევრს განზრახ არ სჯერა, არ უნდა დაიჯეროს, საკუთარი თვალთ დაინახოს საბჭოთა ხელისუფლების ეკონომიურად გამტკიცება. არც ისე დიდ დროს გაუგებია მას შემდეგ, რაც მრავალი ფიქრობდნენ: საბჭოთა ხელისუფლება ვერ გაუძლებს ეკონომიურ კრიზისს, ის უსათუოდ გაიჭყლიტება მისი სიმძიმის ქვეშ, მაგრამ მწარედ შეცდნენ ანგარიშში. მოსტყუდნენ.

საბჭოთა კავშირის მდგომარეობა, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიური დღითი დღე იზრდება, მრეველობა თანდათან ფეხზე დგება და გაუმჯობესების გზით მიემართება.

ასევეა სოფლის მეურნეობაც. ის აყვავების გზაზეა შემდგარი.

სახელმწიფოს ვაჭრობაც ხელს უწყობს ფულის რეფორმის გატარებას.

ჩვენ აქ ვერ ჩამოვთვლით ყველა იმ პირობებს, რომლებმაც შესაძლებელი გახადეს ფულის რეფორმის ცხოვრებაში გატარება, ეს ძალიან შორს წავიყვანდა და არც შეადგენს ამ წერილის მიზანს მაზე წერა, ჩვენ მხოლოდ გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენში ფულის რეფორმა არ არის უბრალო დეკრეტის ძალით მომდგენილი აქტი.

არა. ფულის რეფორმა თავის გამართლებას ჰპოულობს ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობაში.

მტკიცე ვალიუტაზე გადასვლა მხოლოდ მაშინ გახდა შესაძლებელი, როდესაც ბიუჯეტის დეფიციტმა მინიმუმს მიიღწია და რესპუბლი-

კის საანგარიშო და საეკურო ბალანსი აქტიური და ხელსაყრელი გახდა.

ამიტომ, როდესაც საბჭოთა ფულის რეფორმის მნიშვნელობაზე დაიწყებენ მსჯელობას მტერ-მოყვარენი, მუდამ გაიხსენონ ეს დებულება და აქიდან გამომდინარე დადასონ ამ რეფორმის მნიშვნელობა. ასე თუ ისე ეს რეფორმა დღეს განხორციელებს და გატარების პროცესშია. ამ დღეებში საბჭოთა ამიერ-კავკასიის მოქალაქენი ხელს შეაკლებენ სრული ათი წლის შემდეგ ვერცხლის ფულს და შექველად იკრძაობენ ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩადგომას.

რეფორმის გატარება ჯერ კიდევ დიდ მუშაობას მოითხოვს. შეიძლება რეფორმა მშვენიერად გაატაროთ, ხალხმაც მიიღოს მეგობრულად ეს რეფორმა, მაგრამ საქმე მინც ცულათ წაივლეს.

მაშ დავსვით კითხვა, რა არის საჭირო ამ რეფორმის უზრუნველსაყოფად?

პირველ ყოვლისა ხარჯების მინიმუმამდე დაყვანა. თუ ქვეყნის შემოსავალს გასავალმა გადააჭარბა, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ზედმეტი ქალაქის ფულის გამოყვებით უნდა დაიფაროს. ამიტომ საჭირო და აუცილებელია სახელმწიფოს ხარჯები მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი. ჩვენში ყველას აწვალებს კუთხური უწყებრივი პატრიოტიზმი. საჭიროა მუშ. გლეხ. ინსპექციამ გამოიბას ათასი თვლი და ისე უყუროს ფულის ხარჯვას.

საჭიროა აგრეთვე ფულის ტრიალის მოწესრიგება. თუ ხმარებაში გამოშვებული ფული არ იქნება მუდმივ ტრიალში, თუ მოქალაქენი და საეკურო დაწესებულებანი ფულის სწრაფი ბრუნვას არ შეუწყობენ ხელს, ეს უსათუოდ გამოიწვევს ზედმეტი ფულის დაბეჭდას, რაც აუცილებლად გავლენას მოახდენს ფულის კურსზე.

ყველას უნდა ახსოვდეს, რომ პოლიტიკურ ეკონომიაში ცნობილი დებულებაა ის: რომ, რაც მეტია რაოდენობა ფულისა, მით დაბლა სდგას მისი კურსი, ეს ხდება იქ, სადაც ქალაქის ფულისა და ოქროს ჩვეულებრივად დაწესებულ მარაგს შორის წონასწორობა ირღვევა ქალაქის ფულის სიჭარბის მხრით და ასეთვე მოვლენას აქვს ადგილი იქაც, სადაც ზედმეტი ოქროა დაგროვილი და გამოშვებული. ქალაქის ფულის დაცემის და მისი კურსის არარაობამდე მისვლის მოწვევ ჩვენ უკვე გავხდით, ხოლო ოქროს სიჭარბის და მის გაიფხების მაგალითს წარმოადგენს ამერიკა. ამერიკაში ოქრო იმტომ დაეცა, რომ ის ბევრი იყო იქ.

გარდა ამისა უნდა ვეცადოთ მეტი გავიტანოთ სახლვარ გარეთ, ვინემ შემოვიტანოთ, ან ყოველ შემთხვევაში შემოტანა არ უნდა გადააჭარბოს გატანას. თუ ეს დავიცავით, ჩვენ გვექნება აქტიური, ხელსაყრელი საეკურო ბალანსი. ამის შესახებ წინა წერაშიც გვქონდა ლაპარაკი.

შეიძლება აქტიური, ხელსაყრელი საეკურო ბალანსი გქონდეს, მაგრამ ფულის კურსმა მინც გავლენა განიცადოს დაცემის მიმართულებით. ეს მოხდება სხვა თანაბარ პირობებში იმ შემთხვევაში, თუ საანგარიშო (платежный) ბალანსი არ არის ხელსაყრელი. რა არის საანგარიშო

# ფულის სხივები

(ნაწყვეტები)

„მე გავიზარდე წმინდა ბუნების გაშლილ წიაღში

„და თავისუფლად ჰაერს ვსუნთქავდი ყვავილთა ბაღში.

„ჩემთვის უცხოა მევის სასახლის ზნე-ჩვეულება,

„ამღზრდელად მყავდა სიყვარული და თავისუფლება.

„მე ვსტრეტდი სივრცეს და ცის ჰორიზონტს ჩემს თვალ წინ ვაშლილს

„და ვერ ვხედავდი მტარვალთა ხროვას ვნებებით აშლილს.

„სული შთამბერა მთის ნიავექარმა, ვამათბო სხივმა,

„მასაზრდოვებდა ვით დედის ძეძუ მაისის წვიმა.

„თავისუფლების ჰიმნს მივალობდენ ტყის ფრინველები

„და შრომის ექსტაზს ჩემში ანთებდენ მინდორ-ველები.

„დეე, თუ გინდა ხელთეხში მქონდეს რკინის რგოლები,

„მე არ შევდრკები მტარვალთა წინა—შევებრძობები...

„დამარცხდა კერპი და ძირს დაეცემა ამაყად მდგომი.

„ქვესკნელის ძალებს გამოეცხადა სასტიკი ომი.

„ხალხი მაგონებს ზღვა-ოკეანეს მღვლეარე ტალღებს;

„მართლმსაჯულებმა მის ხელში არის—ციხეებს ალღებს.

„აშკარად ვხედავ, რასაც ენახავდი მხოლოდ სიზმარში.

„აჰა, მე მესმის ბრძოლის ყიჟინა, სამხედრო მარში.

„ოი, სიცოცხლე, მწარე ტანჯვაში შენ გაგატარე,

„მაგრამ აწ დასტკიბი ტანჯვის ნაყოფით და გაიზარე.

„აჰა, ზარს სციემენ—მისკენ გვეძახის თავისუფლება,

„და დედა-მიწას ეპატრონება ხალხის უფლება.

„აჰა, მოდიან წითელი დროშით, სალი-კულე მკერდით...

„დაზარულეზო ვვილა ქვეყნისა ერთად შეერთით.

„მთელი კოსმოსი შიშით ზანზარებს მეტრძოლთა ხმაზე,

„და მოვლიან თვით მნათობებიც დანგრევას ცაზე.

„დეე, დაეცეს ბეერი ჩვენგანი ფულ-განგმირული,

„მხოლოდ კი დარჩეს ტანჯული ხალხი გამარჯვებულნი.

„აღსრულდა ძეგბო, ჩვენ შევასრულეთ ჩვენი მიზანი,

„და ჩვენს წინ გდია სისხლში ჩამხრჩვალნი მეფე ტირანი.

„შთამომავლობას გადაეცემა ჩვენი ნაშრომი;

„აწ არ იქნება სისხლის დამღვრელი, ველური ომი.

„ჩვენ შეუქენით კაცობრიობას ახალი ერა;

„ჩვენ დავამარცხებ სამარადისოდ ავი ქიშკრად.

„ჩვენ დავამტკრიეთ ხალხთა მონობის მძიმე რკინები;

„არქივს მივეციეთ მეფეთა ტახტი და გვირგვინები“.

გაროლდი.

ბალანსი?—ყველა ის ვალდებულებანი, რომელიც ერთ სახელმწიფომ უნდა გადაუხადოს მეორე სახელმწიფოს, შეადგენს საანგარიშო ბალანსს.

გარდა საქონლის გატანა-შემოტანისა ერთ სახელმწიფოს მეორესთან აქვს სხვანაირი ურთიერთობაც. მისი კაპიტალი, ფული, ვასესხებულია, ან წარმოებაშია მოქცეული მეორე სახელმწიფოში. პირველ სახელმწიფოს ერგება მეორე სახელმწიფოდან სარგებელი, პროცენტი, ან დივიდენდი. შეიძლება პირველ სახელმწიფოში მეორე სახელმწიფოს მოქალაქეებმა დახარჯეს ფული სხვა და სხვა საჭიროებისათვის, საბოლოოდ ირკვევა, რომელ სახელმწიფოს დაეღება ვალი საანგარიშო ბალანსის მიხედვით. ამ შემთხვევაში საანგარიშო ბალანსზე, რასაკვირველია დიდი გავლენა აქვს საქონლის გაზიდვას და შემოზიდვას, მაგრამ თუ საანგარიშო ბალანსი არ არის ხელსაყრელი, მაშინ საეკურო ბალანსის ხელსაყრელობა მნიშვნელობა ეკარგება.

ჩვენ აქ, როგორც მაგალითი შეგვიძლია მოვიყვანოთ ინგლისის, საფრანგეთის და წი-

ნანდელი გერმანიის მაგალითი. მათი საეკურო ბალანსი თითქმის მუდამ არახელსაყრელი, პასიური იყო, ხოლო ძველი რუსეთის, ინდოეთის და ჩინეთის საეკურო ბალანსი კი ხელსაყრელი, მაგრამ პირველ სახელმწიფოთა საანგარიშო ბალანსი მუდამ ხელსაყრელი იყო, რადგან ისინი მდიდარი იყვნენ კაპიტალით და ამ კაპიტალის სარგებელი, პროცენტები, რომელსაც ინგლის-საფრანგეთი და გერმანია იღებდნენ სხვა სახელმწიფოებიდან, მათ საანგარიშო ბალანსს ხელსაყრელად ხდოდა.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ საბჭოთა კავშირში? დღეს-დღეობით ამ მხრივ ძალიან კარგი პირობებია. საბჭოთა კავშირის საანგარიშო ბალანსი მისთვის ხელსაყრელია, რადგანაც ის ვალებს და არც უცხოელ მოქალაქეთა პრეტენზიებს არ აკმაყოფილებს. როცა ამ თვალსაზრისით უღებებით საკითხს, ჩვენთვის აშკარა ხდება, რომ უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ფულის რეფორმის შედეგებისათვის და მომავლის პერსპექტივებისათვის იმ მოლაპარაკებას, რომელსაც დღეს საბჭოთა კავშირი აწარმოებს ინგლისთან.

საერთოდ კი საანგარიშო ბალანსის ხელსაყრელობას უნდა ვეცადოთ, თორემ ჩვენი ოქრო საზღვარ ვართ ვაიპარებთ, ხოლო ჩვენს ფულს კურსი თანდათან დაეკარგება.

გარდა ამისა საჭიროა მოწყობილ იქნას კრედიტი. საკრედიტო დაწესებულებათა მუშაობის განვითარება-გაფართოებაზეც არის დამოკიდებული. ჩვენი ფულის კურსის სიმტკიცე.

დღეს კი დამკვირვებელი ამოცანადაა აღიარებული საქონელზე ფასების დაკლება. მაქსიმუმი ენერჯისა და შესაძლებლობისა უნდა მოგვცეს სახელმწიფო ვაჭრობამ და კოოპერაციამ ფასების დაკლების საქმეში. ყველამ, მუშამ,

მოსამსახურემ, გლეხმა და ყველამ უნდა ივარძლოს ეს დაკლება. დღეს ეს ადვილი დასანახია. წინეთ კი ძნელი იყო ამის დანახვა, რადგანაც ბონების კურსის მერყეობა ფარავდა ყველაფერს.

მომჭირნეობა, ვაჭრობის და ალემ-მიცემობის გაცხოველება, ექსპორტის გაძლიერება, საკრედიტო დაწესებულებათა მაქსიმუმამდე ამუშავება, წარმოების, მრეწველობის შემდგომი განვითარება, აი ეს არის თავდები ფულის რეფორმის ბრწყინვალედ დაგვირგვინებისა.

ფინანსიკი

# მტკიცე ფასების დაწესების გზა.

ფასების დაკლების შესახებ.

მტკიცე ვალიუტის გამო ამიერ კავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ შეიმუშავა საფუძვლები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ სათანადო ორგანოებმა იმ დროს, როდესაც ისინი გამოსცემენ სავალდებულო დადგენილებებს ფასების დაწვევის შესახებ.

სავალდებულო დადგენილება ფასების დაწვევის შესახებ მომავალში გამოცემული იქნება ამიერ-კავკასიის შინა ვაჭრობის კომიტეტის მიერ და ეს ფასები მიღებული იქნება ცალკე რესპუბლიკების შინა ვაჭრობის კომიტეტების მიერ შესასრულებლად.

ფასების შემცირება ვრცელდება, როგორც სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციების საქონელზე, ისე იმ საქონელზე, რომელიც კერძო ბაზარზე იმყოფება.

საბითუმო ფასები ა. წ. 15 აპრილიდან შემცირებული იქნება არა ნაკლებ 7 პროც. იმ ფასებთან შედარებით, რომელიც არსებობდა ბაზარზე 7 აპრილს.

საწვრილმანო ფასები კი ა. წ. 15 აპრილიდან იმ ქალაქებში, სადაც არის საკრედიტო დაწესებულებანი, დაკლებული უნდა იქნეს არა ნაკლებ 15 პროც. იმ ფასებთან შედარებით, რომელიც არსებობდა ბაზარზე 7 აპრილს, ამიერ-კავკასიის დანარჩენ ქალაქებში და ადგილებში კი არა ნაკლებ 20 პროც.

ფასების დაკლება ვრცელდება აგრეთვე საბჭოთა კავშირის იმ ტრესტებზე და სინდიკატებზე, რომელნიც ვაჭრობენ ამიერ-კავკასიის ტერიტორიაზე. თვალყურის დევნება ამ ღონისძიებების ცხოვრებაში განსტარებულად ეკისრებათ აღმასკომებს და რესპუბლიკების შინაური ვაჭრობის კომიტეტებს.

საწვრილმანო ფასების დაკლება.

შინაური ვაჭრობის კომიტეტმა პირველი მოთხოვნის საგნებზე დააწესა შემდეგი ფასები:

## თ ფ ი ლ ი ს შ ი

- 1) პური I-ლი ხარისხის გირ. 8 კაპ.
- 2) " II-რე " " 6 "
- 3) " III-მე " " 5 "
- 4) ნატები შაქარი " 35 "
- 5) ფხენილი " 28 "
- 6) კულინის მარილი გირ. 2 "
- 7) ნახიჩევანის " " 2 "
- 8) ყირიმის " " 2 1/4 "
- 9) ნავთი " " 2 3/4 "

## ბ ა თ ო მ შ ი.

- 1) პური 1-ლი ხარისხ. გირ. 7 1/2 კაპ.
- 2) " 2-რე " " 5 1/2 "
- 3) " 3-მე " " 4 1/2 "
- 4) ნატები შაქარი " 35 "
- 5) ფხენილი " " 28 1/2 "
- 6) ყირიმის მარილი " " 1 3/4 "
- 7) ნავთი " " 3 1/2 "

# ფულის რეფორმა

## ამიერ-კავკასიის ზონების გამოსასყიდი კურსი

დადგენილება № 18.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭოსი.

1924 წ. აპრილის 14.

## ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნების გამოსყიდვისათვის მტკიცე კურსის დაწესების შესახებ.

ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნების ბეჭდვისა და გამოშვების მოსპობის შესახებ ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამ.-კავ. სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისარათა საბჭოს მიერ ამა წლის აპრილის 4 თარიღით გამოცემული („ზარია ფოსტოკა“-ს 1924 წ. აპრილის 5-ს თარიღისა 543 №-რი), დადგენილებების მე-4 მუხ. თანახმად ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. უმაღლესი ეკონომიური საბჭო ადგენს:

1. ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნების მტკიცე კურსად 1924 წლის აპრილის 15-დან დაწესებულ იქნეს ერთი ოქროს მანეთისათვის თორმეტი მილიარდი ხუთასი მილიონი მანეთი (12.500.000.000 მან.) ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით.

ამისდამიხედველად განსაზღვრულ იქნეს შემდეგი მტკიცე პარიტეტი ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებისა:

1	კაპ. ვერცხლით უდრის	125.000.000 მან.	ამ.-კავკასიის ფულის ნიშნებით
2	" " "	250.000.000 "	" " "
3	" " "	375.000.000 "	" " "
4	" " "	500.000.000 "	" " "
5	" " "	625.000.000 "	" " "
6	" " "	750.000.000 "	" " "
7	" " "	875.000.000 "	" " "
8	" " "	1.000.000.000 "	" " "

და ამ რიგად.

შენიშვნა: 250.000.000 მანეთზე ნაკლები კუბური ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნების მიღება გამოსაცვლელად მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ ერთად წარდგენილი იქნება არა ნაკლები 125.000.000 მანეთისა ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით.

2. ამა დადგენილების აღსრულება და სათანადო ინსტრუქციების გამოცემა დაევალება ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

3. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ტელეგრაფით.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის

უმაღლესი ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის

უმაღლესი ეკონომიური საბჭ. საქმეთა მმართველი **ნ. ივანიშვილი.**

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის

უმაღლესი ეკონომიური საბჭოს მდივანი **ნ. სოკოლსკი.**

ქ უ თ ა ი ს უ ი .

- 1) პური 1 ლი ხარისხ. გირ. 8 კაპ.
- 2) " 2-რე " " 6 "
- 3) " 3-მე " " 5 "
- 4) ნატეხი შაქარი " " 35 "
- 5) ფხვნილი " " 28 1/2 "
- 6) ნავთი " " 4 "
- 7) ყირიმის მარილი " " 2 "

რესპუბლიკის შინაური ვაჭრობის კომიტეტებს უფლება აქვთ დააწესონ ფასები სხვა საქონელზეც და გამოსცენ სავალდებულო დადგენილებები ფასების დაწვევის შესახებ.

ეს ფასები სავალდებულოა, როგორც სახელმწიფო და კოოპერატიულ წარმოებებისათვის, ისე კერძო სავაჭრო წარმოებისათვისაც. ამ დადგენილებების დამრღვენი მიცემულნი იქნებიან პასუხისმგებელი.



ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი ს ხ რ ი კ ე ბ ი .

ოდესლაც რევოლუციის აკანინ-პარიზი დღეს რეაქციის და კონტრ-რევოლუციის ბუღეთაა გადაქცეული.

რეაქციის მთელ ხროვას დირიჟორობს ძველი მსუხვათი იმპერიალისტი პუანკარე, რომელსაც მეტ სახელად პუანკარე—ომს უწოდებენ.

პუანკარე-ომი თავიდანვე მტრულად იყო განწყობილი საბჭოთა კავშირთან. ეს მტრობა არ არის უბრალო მტრობა. ეს არის მტრობა სიძულვილთან შეზავებული. მას ძილშიაც და ცხადშიაც მოსვენებას არ აძლევდა და არც ახლა აძლევს დედა-მისის ერთ მეექვსედ ნაწილზე საბჭოთა სისტემის არსებობა. ის მოწოდებულ იყო და ახლაც არის, რასაკვირველია, რითიმე დაიხმოს საბჭოთა მთავრობა. მას აწუხებს და აწვალებს ერთის მხრივ კომუნისმის აჩრდილი და მეორეს მხრით ბანკირების და საერთოდ კაპიტალისტების ქონების—ვალის ბედი.

ამიტომ იყო, რომ ის ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ საბჭოთა სისტემა დაეცა. ინგლისთან ერთად ვის არ აძლევდა დახმარებას, ვინ არ შემოუსია საბჭოთა ქვეყანას. ჯერ ეკონომიური ბლოკადით გვიპირობდა დახმარებას და როდესაც ამან არ გასჭრა, დენიკინ, იუდენიჩი, კოლჩაკ გრანგელის საშუალებით შეეცადა ჩვენს დახმარებას. მაგრამ ვერც ამ ხერხმა გაუჭრა.

თვითონ კი იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირი სუსტი და სამოქალაქო ომით დაუძლურებული იყო, აშკარად ვერ მოიკლავ ჩვენსკენ გამოსალაშქრებლად. მაშინ გერმანიის საკითხის გადაჭრით იყო დაკავშირებული. დღევანდელ საფრანგეთისათვის „გერმანიის საკითხი“, მისი, როგორც მეტოქის, ჩამოშორება „პირველ რიგში იდგა.“

დღეს გერმანიას, ასე ვთქვათ, ერთნაირად მორჩა, ის ჯერ-ჯერობით მუსრუტე მოპირებულნი ჰყავს და იქიდან სამხედრო საომარი საშიშროება ამ ახლო მომავალში არ აქვს, მაგრამ საბჭოთა კავშირთან პირდაპირი შეხებას მაინც ვერ ბედავს, ვერ ახერხებს.

ამის მიზეზი მრავალია.

კ ო რ ტ რ ე ბ ე

ყვავილებში გადავშალე დარდიანი გული. არ მინდოდა მისტიური თვითმკვლელობა მაშინ. წარმოიშვა უმალესი სიტყვა ხაზგასმული. და ვიხილე სათნობა, უშიშარი ტაშა.

დღეს პატივს ვცემ სასაფლაოს, ძვლებით სავსე სივრცეს. ლეგიონი მოგონება დარჩა ჩუმად მზეში. ჩემი სული და სხეული მსურს მომავალს მივცე. ეს იქნება მათი ხსოვნა დიდი და უგრძესი.

ქ ა ნ ე ლ ი ბ შ ი კ ი

ჯერ ერთი: საბჭოთა კავშირი დღეს უკვე საკმაოდ მოლონიერებული და ფეხზე დამდგარი ქვეყანაა. მასთან პირისპირ შეხმა სახიფათოა. მეორეს მხრით საერთაშორისო მდგომარეობა, და თვით მე-11-ე ინტერნაციონალი, რომელიც ძალიან მტრულად გვიყურებს, გადამწყვეტ მომენტში იძულებული იქნება საბჭოთა კავშირის მხარეზე დადგეს, ვინაიდან დღეს ყველასათვის აშკარაა, რომ საბჭოთა კავშირში რევოლუციის დამარცხება გამოიწვევს მუშათა მოძრაობის დიდი ხნით დამარცხებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით და ევროპაშიაც გამეფდება საშინელი რეაქცია.

გარდა ამისა თვით საფრანგეთში, ინგლისში და გერმანიაში მუშები ყურს ვერ მოიყრუებენ და საბჭოთა კავშირს უსათუოდ დაეხმარებიან.

ყველაფერ ამას, ცხადია, ითვალისწინებს პუანკარე-ომი და ჩვენთან პირისპირ შეხმას ვერ ბედავს, თუმცა კბილების ღრქენით და ბრაზით უყურებს ყოველ ჩვენს ნაბიჯს, რომელიც წინ იქნება გადადგმული.

ამიტომ ის მიმართავს სხვა ხერხს. იმ დროს, როდესაც დაიწყო ჩვენი ცნობის ხანა და მთელმა რიგმა სახელმწიფოებმა იცნო საბჭოთა კავშირი იურიდიულად, საფრანგეთი ყოველნაირად ცდილობს ამ ცნობას ხელი შეუშალოს და ამა თუ იმ სახელმწიფოს სამეგობროდ გამოწვდის ხელი ღირს დასაშვებობის მუქარის, ან ხრიკების საშუალებით.

ამას წინეთ ჩინეთის წარმომადგენელმა მისი მთავრობის ნებართვით და დირექტივით ხელი მოაწერა საბჭოთა კავშირთან დადებულ ხელშეკრულებას, რომელიც შეიცავდა იურიდიულ ცნობასაც, მაგრამ აქ საქმეში ჩაერთა რეაქციონური საფრანგეთი და ჩინეთს მუქარით უკან წაადგებია ჩვენი იურიდიული ცნობა.

უკანასკნელ ხანებში მოლაპარაკება შესწყდა ჩვენსა და რუმინეთს შორის ბესარაბიის საკითხის გამო. რუმინეთმა ძალით შეერთებული ბესარაბიის სამუდამოდ შენარჩუნება მოინდომა. რუმინეთს ამ საქმეში საფრანგეთი ამოუდგა მხარში და ბესარაბიის შემოერთება დადასტურა თავის პარლამენტში რუსეთ-რუმინეთის მოლაპარაკების წინ.

როდესაც ვენის კონფერენცია ჩაიშალა, რუმინეთის პრემიერი პარიზში გაემგზავრა დირექტივების მისაღებად და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ სადემონსტრაციოდ. მას პუანკარე ნადიმი გაუმართა. არის ცნობები, რომ საფრანგეთი რუმინეთთან კავშირს კრავს, რასაკვირველია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ერთი ასეთი კავშირი რუმინეთმა უკვე დასდო

იაპონიასთან, ესეც საფრანგეთის რჩევით და დირექტივით ალბათ.

ამას არ სჯერდება საფრანგეთი. ის ყოველ ღონეს ხმარობს საბჭოთა კავშირს წააჩუბოს ოსმალეთი. ეს ერთი ხანია, რაც ის ოსმალეთს შეუჩნდა და მას უსისინებს ჩვენს წინააღმდეგ თავის მოხსენებაში აშხ. ტროცკიმ აღნიშნა, რომ უკანასკნელ ხანებში ოსმალეთმა სხვა კოლოთი დაიწყო ლაპარაკიო. ეს საფრანგეთის ხრიკების წყალობით ხდება.

საფრანგეთმა პოლონეთსაც სხვა კილოთი დააწყებინა უკანასკნელ ხანებში ლაპარაკი საბჭოთა კავშირთან.

ერთი სიტყვით საფრანგეთი ყოველ მხრივ გვეტევს.

მიუხედავად ამისა პუანკარე მისთვის უჩვეულოდ ალაპარაკდა პარლამენტში დეპუტატ-დემონზის შეკითხვის პასუხში. ის შედარებით ლოიალურადაა თითქოს საბჭოთა კავშირთან განწყობილი.


ეს კაპიტალისტური და იმპერიალისტური ქვეყნის ჩვეულებრივი ხრიკებია. როცა ტყბილად გესაუბრება, მაშინ მახვილს ლესავს. ამჟამად პუანკარე იმიტომ ლაპარაკობს საბჭოთა კავშირის „სასარგებლოდ“, რომ საფრანგეთში მასისათვის დანიშნულია საპარლამენტო არჩევნები და ამისთანა ლაპარაკით სურს მოიგოს იმათი გული, ვისაც აინტერესებს საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განახლება.

საფრანგეთიც ბოლოს და ბოლოს იძულებული იქნება საბჭოთა კავშირი იცნოს. ამ მხრივ ჩვენის აზრით დიდი მნიშვნელობა და გავლენა ექნება ინგლის-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების ურთიერთ შეთანხმებით დამთავრებას.

ასეა თუ ისე საფრანგეთიც უნდა მოტყდეს, მეტი გზა მას არა აქვს.

მის გატებას ჩვენ ვიხილავთ მალე.

გ. ვ—ნი.



ს ა ლ ო ს ა პ ი თ ს ე ბ ი ს უ ს ა ხ ე ბ .

(ს. დედდარიანის ახალი გზის ვარშემო)

IV.

საერთაშორისო ხოცვა-ჟლეტის ფრონტი გაირღვა.

ის რუსეთის პროლეტარიატმა და მშრომელმა მასსამ დაშალა. იმპერიალისტურ ომის შედეგად წარმოიშვა თებერვლის რევოლუცია.

მოხდა ის, რაც სთქვა მარქსისტებმა, რაც უშუალოდ გამოიმდინარებოდა შექმნილ მდგაო

მარცხიდან. გრანდიოზულ შეტაკებას, ომს, მოჰყვა რუსეთის რევოლუცია.

ამ რევოლუციის მესაქე, უნდა ყოფილიყო მუშათა კლასი. ამის შესახებ სწერდა კაუტსკი, ბაუერი, ასე იყო მარქსისტულად.

ამ რევოლუციის დაწყება ნიშნავდა დასაწყისს ახალი ხანის, ახალი პერიოდის, ამ პერიოდზე სთქვა მარქსმა და ენგელსმა: შეკავშირებულ და გაბატონებულ პროლეტარიატის ხელში თავი უნდა მოიყაროს წარმოების, შრომის ყველა იარაღებმა და რამდენადაც შესაძლებელია გაამარჯლოს საწარმოო ძალთა რაოდენობა.

პირველად ეს შეიძლება განხორციელდეს საკუთარების უფლებისა და წარმოების ბურჟუაზიულ ურთიერთობაში დესპოტიური ჩარევით, მაშასადამე ისეთი ღონისძიებით, რომელიც ეკონომიური თვალსაზრისით მიზანშეწონილად და გამოსადეგად არ გვეჩვენება ასე ისურვია ისტორიამ.

თითქოს დავუც არ უნდა გამოეწვია „ძველი მენშევიზმის“ მიმდევრებში იმას, თუ როგორი მიმართულების უნდა ყოფილიყო რუსეთის რევოლუცია.

თითქოს: გასაგები და მისაღები უნდა ყოფილიყო ყველასათვის ის, რომ გრანდიოზულ ომს გიანდლიოზული სამოქალაქო ომი უნდა მოჰყოლოდა, დესპოტიური ჩარევა ბურჟუაზიულ ურთიერთობაში.

მაგრამ თებერვლის რევოლუციის პირველ დღეზე მთელი სივრცე სიჭინით წამოიჭრა რევოლუციის საკითხები და მის გარშემო 1914 წელს დაწყებული კამათი ქუჩებზე გადავიდა, ბათიკადებია ერთ მხარეზე აღმოჩნდა მენშევიზმი, მეორეზე ბოლშევიზმი.

კვლავ მოხდა შეტაკება ორი მიმართულების, ორი ისოფლამედევლობის.

ბოლშევიკური რევოლუციონური თვალსაზრისი დაეტაკა მენშევიკურ ოპორტიუნისტულს.

პატივცემული სეთ დედარიანის „ძველი მენშევიზმის“ ფარგლებში შედის ეს ტონიკ და ალბათ იტყვის რომელი „მენშევიზმი“ იყო სწორი და მართალი მხოფლიო მასშტაბით: ძველი 1914 წლამდის თუ შემდეგ 1914 წლის ომისა და 1917 წლის რევოლუციის პროცესში განვითარებული?

რომ ამ ორ მიმართულებას არაფერი საერთო, გარდა სახელისა, არ აქვს, ამაში ყველა დაგვეთანხმება. მით უმეტეს პატივცემული სეთით.

როგორი იყო მენშევიზმის შეხედულება რუსეთის რევოლუციაზე?

რატომ მოიტეხა კისერი მან რუსეთის და ჩვენს სინამდვილემ?

სავრთაშორისო სიტუაციიდან გამომდინარე მენშევიზმი რუსეთის რევოლუციის აფასებდა, როგორც ბურჟუაზიულ რევოლუციას. \*)

„სამი მთავარი ძალა არის რუსეთის რევოლუციის მამოძრავებელი: 1) პროლეტარიატი, 2) პროგრესიული ბურჟუაზია და 3) ჯარი.“

ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვიაროთ ამ კლასებთან და ყველა იმ ძალებთან, რომელნიც

რევოლუციის მონაწილენი არიან. ერთად უნდა ვავაშენოთ რესპუბლიკა“.

ასე ამბობდა თებერვლის რევოლუციის მეორე დღეს ნ. ჟორდანია.

საჭიროა ამ ძალების შეთანხმება, საჭიროა მჭიდრო კავშირი ბურჟუაზიასთან; „მუშათა საკითხს რაც შეეხება მისი მოგვარება, უნდა მიენდოს მომრიგებელ კამერებს (!) გლახთა საკითხებიც ასეთივე წესით უნდა მოვაგვაროთ, ე. ი. უნდა მოეწყოს სოფლებში მომრიგებელი კამერები (ეს რევოლუციის პროცესში) რაც შეეხება ქონების კონფისკაციის საკითხს, ის საბოლოოთ გადასწყვეტა დამუშავებულ კრებაში“. არც ერთი სიტყვა რევოლუციონურ შეტევაზე. არც ერთი სიტყვა დესპოტიურ ჩარევაზე. არ გაბედოთ გამოსვლა, არ გაამწვავოთ ბრძოლა. მუშებო! მოითმინეთ. რევოლუცია არ არის თქვენი, ბურჟუაზიულია, დაეცხება მართლმად მას!

ასე მიმართავდა მენშევიზმი მუშათა კლასს, ის გაუბოდა ძალა უფლებას, მუშათა კლასსაც თან მიათრევდა.

ნ. ჟორდანია კოალიციური სამინისტროს წინააღმდეგი იყო:

„კოალიციონურ სამინისტროში მყოფი მინისტრი ვალდებულია დიაციას ინტერესები სახელმწიფოებრივი და ამასთანავე იძულებულია ანგარიში თავის კლასის ინტერესებსაც გაუწიოს. თუ კლასური პოლიტიკა გადასწონის—სამინისტროში კრიზისი ხდება“.

ეს არ უნდოდა ჟორდანიას. არ უნდოდათ მენშევიკებს.

მაგრამ პროლეტარიატმა არ ისურვა ჩვენ მიერ გამოწერილი რეკეტებით ბრძოლა. რევოლუცია ვერ ჩაეტია მენშევიზმის მიერ გაჭრილ კალაპოტში.

პროლეტარიატი დასცილდა იმ პარტიას, რომელმაც ბურჟუაზიასთან კავშირის გარდა ვერაფერი ურჩია რევოლუციონურ, საკმაოთ ღონიერ მუშათა კლასს. მენშევიკები ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციის წინა თვეებში, გაცილებით ადრე, ვიდრე მოხდებოდა გადატრიალება, გრიყულნი დარჩნენ.

ეს ამბავი აწუხებდა მაშინ ჩვენ ყოფილ პარტიის ხელმძღვანელთ.

ნოე ჟორდანია ასე ამბობდა ჯერ კიდევ დემოკრატიულ თათბირის შემდეგ. „მენშევიკები მოსწყდნენ პროლეტარიატს, როგორც სხანს დემოკრატიული თათბირის ანგარიშებიდან, მენშევიკები მოითხოვდნენ კოალიციას, მაშინ როდესაც ყველა ორგანიზაციები მუშებისა იყვნენ ამის წინააღმდეგი“.

საკმაოთ გარკვეულათ არის თქმული. მკითხველი ხედავს, რომ ნოე ჟორდანია არ სცდებოდა. მან სწორად აღწუსხა მდგომარეობა. სინამდვილე გაიგო სხვებზე უკეთ. ამის შესახებ სთქვა კიდევც.

მაგრამ მან ვერ გამოიყვანა აქედან შესაფერისი დასკვნები.

მუშათა კლასი თებერვლის რევოლუციაში გამოვიდა უკვე, როგორც მომწიფებული პოლიტიკური ძალა.

ჯერ კიდევ 1889 წელს, სოციალისტურ კონგრესზე იწინასწარმეტყველა განსვენებულმა გიორგი პლენხანოვმა ეს.

მან იცოდა, რომ რუსეთის რევოლუციაში ბურჟუაზია კონტრრევოლუციონური იქნებო-

და, რადგან მის წინააღმდეგ საკმაოთ მძლავრი პროლეტარული ლაშქარი იქნებოდა და-რახმული.

დამონებული ბურჟუაზია ტყავის გადასარჩენათ რეაქციის კალთებს მიაშურებდა.

ამიტომ სთქვა: „რუსეთის რევოლუცია გაიმარჯვებს, როგორც მუშათა რევოლუცია, ან სულაც ვერ გაიმარჯვებს“.

ეს დაეკარგათ მხედველობიდან დემოკრატიის მოტრფილეთ.

მათ დაავიწყდათ, რომ პროლეტარიატი რუსეთის რევოლუციაში ის ძალა იყო უკვე, რომლისაც ბურჟუაზიას ეშინია, რომლის ერთი დანახვით შეშინებდნენ ის რეაქციის კი არა ეშმაკის ბებიასაც კი დაუკავშირდება მის წინააღმდეგ.

შემთანხმებულთ აღარ გაახსენდათ, რომ ასეთ პირობებში აღარ შეიძლებოდა ორკოფობა, ქანაობა, ბურჟუაზიისათვის თავზე ხელის სობა.

ან იქნება ეს ასე არ არის?

მაშინ მოუშმინოთ თვით ნოე ჟორდანის: „ხელშეკრულება იყო დადებული საბჭოსს \*) და ბურჟუაზიის შორის. დაეკრნო რა ხალხის(!) შეგნებასა და შეკავშირებას, მუშათა და სალადათი დებუტატების საბჭომ სცადა, ძალა-უფლების ბურჟუაზიის ხელში გადაცემით, გადაეჭვია რევოლუცია რევოლუციით აღმავალ ხახზე.“

მაგრამ დემოკრატიის (უფლებათა) თვითშეკვეცა არ მოხერხდა: ერთის მხრივ ბურჟუაზია თავის კლასიურ ინტერესების ზეგავლენით შეეცადა შეთანხმების დარღვევას, მეორე მხრივ, გარეთ მუშათა და ჯარისკაცთა შორის აღმოჩნდა მიმდინარეობა დროებითი მთავრობის წინააღმდეგი“. ასე ფორტოგრაფიულად თვისებდა სინამდვილეს ნ. ჟორდანია. მაგრამ მას და მასთან ერთად მთელ მენშევიზმს, ეშინოდა ძალა-უფლების, როგორც შავი ქირის.

არამც და არამც არ შევიდეთ მთავრობაში, „თუ მსხვილი ბურჟუაზიის როლი უკვე გათამამებულია, მაშინ ძალა-უფლებას უნდა საშვალო ბურჟუაზია ჩაუდგეს სათავეში, შესაძლოა წვრილი ბურჟუაზია მაგრამ არას შემთხვევაში პროლეტარიატი“.

ასე ამბობდა ნოე ჟორდანია.

ცხოვრებამ დაგვანახვა, რომ ეს შეხედულება შემცდარი იყო.

დამფრთხალი ბურჟუაზია „კორნილოვზჩინაში“ გადაიჭრა. პროლეტარიატი დაირაზმა და მის წინააღმდეგ შეკავშირებული გამოვიდა. მენშევიზმი კი გარიყული აღმოჩნდა. გარიყული აღმოჩნდა იმიტომ, რომ მან ვერ გაიგო, ვერ შეითვისა შინაარსი და ბუნება რუსეთის რევოლუციის, ეს იყო „ქვა“, რომელზედაც ფეხი წამოკრა მენშევიზმი და კისერიც მოიტეხა.

ამაში იყო ჩვენი შეცდომა.

მოჩხუბარი.

\*) ლაპარაკია პეტროგრადის მენშევიკურ საბჭოზე

\*) ჩვენ უსარებლობთ ნ. ჟორდანის სიტყვებით და უარებით. რადგან ჩვენშიც იყო პარტიის მოახროვენი თვით.

# ფულის რეფორმა და გლახობა.

ჩვენი მოკავშირე რევოლუციის გლახობა არის. ბრძოლის ველზე გამოსულ პროლეტარიატის და გლახობის ინტერესები შეგუებული აღმოჩნდა.

პროლეტარულმა რევოლუციამ გლახობას, რა თქმა უნდა, მშრომელ გლახობას აუსრულა დიდი ხნის ნატვრა, ოცნება სინამდვილეო უქცია.

მან მიწა მისცა მიწის მუშას.

ამიტომ არის მშრომელი გლახობა რევოლუციის ერთგული მოკავშირე. რევოლუციის მიმე დღეებში გლახობას არ უღალატნია მუშათა კლასისათვის. მასთან ერთად იბრძოდა მოზღვავებულ შავ გენერალთა ხროვის წინააღმდეგ. აძლევდა პურს მშვიტ ქალაქს. სამაგიეროთ ქალაქის ფულს იღებდა; მაგრამ მახვილი მაინც არ დაუგდია საერთო მტრის წინააღმდეგ აღმართული.

ამიტომ არის, რომ პროლეტარიატი, ქალაქის მშრომელი მასსა ზრუნავს სოფლის მშრომელ მასსაზე. სცდილობს მასთან იქონიოს მჭიდრო კავშირი. არ დასცილდეს ერთიმეორეს სოფლისა და ქალაქის მუშა.

მათი კავშირი თავდება რევოლუციის გამარჯვების, პროლეტარიატის საბალო გამარჯვებისა.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების შემდეგ, რამოდენიმეჯერ იყო ასეთი საშიშროება, სოფლისა და ქალაქის მშრომელთა შორის ხიდის ჩატეხის. მკრამ მუშათა კლასი დროზე იგებდა ხოლმე მიზეზებს, მაგარი ხელით აიცილებდა თავიდან მას და ისევე მყარდებოდა ძველი ძმური ურთიერთობა სოფლისა და ქალაქ შუა.

ამ უკანასკნელ პერიოდში კვლავ გამწვავდა დამოკიდებულება სოფელსა და ქალაქს შორის. მიზეზი ამის, რა თქმა უნდა, ეკონომიური ხასიათის იყო.

რევოლუციის პროცესში დაცემულ წარმოების აღდგენას შეუდგა პროლეტარიატი. მან აამუშავა ქარხნები, ფაბრიკები, მაგრამ პირველ ხანებში, ქალაქის ნაწარმოები ფრიად ძვირი დაჯდა, თვით ღირებულება დამზადებული ფაბრიკაციისა ომის წინა დროსთან შეფარდებით ძალიან მაღალი დარჩა. ამის მიზეზები მრავალი იყო. გამოუცდლობასაც არ ეკავა აქ უკანასკნელი ადგილი. ნედლი მასალაც ძნელი და ძვირი საშოგი იყო. მანქანები ძველი, მრავალი შესაკეთებელი იყო. ყველაფერი ეს თავის დას ამჩნევდა წარმოებას. მეორე მხრივ დაეცა ფასი სოფლის ნაწარმოებზე. პურის ბაზრის უქონლობამ დასწია ფასი მასზე და გლახობა საშინელ გაჭირვებაში ჩავარდა.

წარმოიშვა ვერცდ წოდებული „მაკრატეტი“. სოფელს აღარ ჰქონდა საშვალება შეეძინა ქალაქის ნაწარმოები, ვინაიდან სასოფლო ნაწარმოებს ვერ ასაღებდა შესაფერის ფასებში. აქ წარმოიშვა წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფელს შუა. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ დროზე შენიშნა ეს წინააღმდეგობაც: საშიშროების წინააღმდეგ მიღებულ იქნა ზომები.

სასოფლო ნაწარმოებს გზა გაეხსნა საზღვარგარეთის ბაზრებზე, მისი ფასი თან და თან

## „მუსოლინი“

ოი, ევროპე, როს დაბერდი, გაჰხდი მელორტი, გამოიფიტა შენი თავი ვით დიდი კვახი— მოველ ანაზღად, დაჰა-დაკად-შენ არ მელორდი: მე მოგველინე მხსნელ მესსიად ვით შტაინაზი.

შენთვის მზად ჰქონდა მშრომელთა კლასს უძრავი ლოდი, მაგრამ შევბოქე, როგორც ჰბოქავს ბავშვებს არტახი, რა გენაღვლება ვიყო: ვიცი, აშოკი, ლოთი, ეხლა ხომ ხედავ—ამაშორე სასტიკი კრახი.

ვის არ ვპატრონობ: ემიგრანტებს ვაძლევ მაკარონს. ოქრო-ვერცხლს-მეფეს, ციხეს-მუშას და ტიტულს ბარონს. სახელი ჩემი: „მუსოლინი“ მიჰქრის ქენებით. ყველგან ვიმარჯვებ: დიქტატურით და არჩევნებით.

## „მაკლონალი“

უმუშევრებს რა მოსპობს?—კრისისის აგება. ლორდებს რა დამშვიდებს?—მათი ხაზის ალება. მისი პრემიერობა მუშებისთვის ხომ კმარა. დეიე აყონ მუშები ცის ქვეშეთის ამარა. ხელმწიფე და ლორდები ასე თუ გაახელა, წინააღმდეგ რაზმების ბლოკს შეჰკრავენ სულყველა— მაშინ სოდომ-გომორად დაიქცევა მთავრობა და კვლავ ბალდვინს მოუწევს ბრიტანეთის მთავრობა.

## მენგა.

აიწია. საბჭოთა პური მოედვა დასავლეთ ევროპას.

დღეს ის ამერიკულ პურს სდევნის იქიდან. მეორე მხრივ მიღებულ იქნა ზომები ქალაქის ნაწარმოების გასაიფებლად, აქაც დიდ შედეგებს მიაღწია მშრომელთა ხელისუფლებამ. ფასი ქალაქის ნაწარმოებზე სავარაუდოდ შემცირდა. სოფელს კვლავ მიეცა საშვალება ქალაქის ნაწარმოების შეძენისა, თუმცა მთელი კავშირი ვერ იქნა აღდგენილი, წონასწორობა ქალაქისა და სოფლის ნაწარმოებთა ღირებულების შორის ვერ დამყარდა, მაგრამ განხეთქილების საფრთხე მაინც თავიდან იქნა აცილებული.

ეს რა თქმა უნდა არ იყო საკმარისი. საჭირო იყო რადიკალური ზომების მიღება ქალაქის წარმოების გასაუმჯობესებლათ და გასაიფებლათ. საჭირო იყო მტკიცე საფუძვლის ჩაყრა ქალაქისა და სოფლის მშრომელთა კავშირისათვის.

ამისთვის აუცილებელი იყო ქალაქის ნაწარმოების კიდევ მეტი გაიფება, კიდევ მეტად ხელმისაწვდომათ გახდომა. უამისოდ არაფერი გაკეთდებოდა.

ამას კი ერთი დიდი დაბრკოლება ეღობებოდა წინ.

არ იყო მტკიცე ვალიუტა. არ იყო მტკიცე ფული, რომელიც საშვალებას მისცემდა, როგორც ქალაქს, ისევე სოფელს ეწარმოებია რატიკონალური მეთურნობა.

მტკიცე ვალიუტის უქონლობა არ აძლევდა საშვალებას წარმოების გაჯანსაღების ჩვენს სამეურნეო ორგანოებს.

შეუძლებელი იყო წინასწარ ვარაუდი ხარჯების, გასავლისა და შემოსავლის, უამისოდ კი ევრავითარი წარმოება ვერ დადგებოდა ჯანსაღ ფეხზე.

სოფელს გლახობაცაც არ ჰქონდა საშვალება ეწარმოებია ქალაქთან ნორმალური ურთიერთობა. ფული, რომელსაც ის იღებდა გაყი-

დულ ნაწარმოების საჟსურად, დღითი დღე ჰკარგავდა თავის ღირებულებას.

გლახს არ ჰქონდა საშვალება შემოენახა ცოტა რამ, რადგან ფულის კურსის ეწინააღმდეგ. ამის გამო ის გაურბოდა კავშირს ქალაქთან. უკიდურეს გაჭირვებაში თუ გაიტანდა თავის ნაწარმოებს გასასყიდათ. ისე ერიდებოდა ქალაქს.

ეს მდგომარეობა ქმნიდა კიდევ განხეთქილების საფრთხეს.

საჭირო შეიქნა მტკიცე ფულის შემოღება.

შექმნა ისეთი ვალიუტის, რომელიც საშვალებას მისცემდა როგორც ქალაქს, ისევე სოფელს მოეწესრიგებია და ნორმალურად ეწარმოებია მეურნეობა. ასეთი მტკიცე ვალიუტა მოგვევლინა კიდევ ჩერვონცის სახით.

დღეს სრულიად უქმდება „ბონები“. ის ისტორიას ბარდება და სამეურნეო ცხოვრების ასპარეზზე ახალი საბჭოთა „მანეთი“ გამოდის: ქალაქს ეძლევა საშვალება კვლავ გაიფოს ნაწარმოები.

გლახისა და ქალაქის კავშირსაც ეყრება მტკიცე საფუძველი.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს გლახობისათვის ფულის რეფორმის გატარებას.

და ბოლოს გატანჯული გლახი კაცი თავისუფლათ ამოისუნთქავს, რადგანაც მას აღარ ეწინააღმდეგა შიში იმისა, რომ გაყიდულ ნაწარმოებში აღებულ „ფულს“ კურსი დაუეწარდება და არაარაობათ იქცევა. ფულის რეფორმის გატარებასთან ერთად კიდევ მეტად შეიკვრება და განმტკიცდება კავშირი სოფელთან.

რევოლუციის პროცესში შექმნილი გლახისა და მუშის შორის ხიდის ჩატეხის საფრთხე თავიდან აცილებულია.

ვ. კობახიძე.



# საშინალო სანი.

ახალი ქვეყნის შექმნაში, ახალი ცხოვრების, გამოკვლევაში და ახალ ურთიერთობათა განმტკიცებაში მეტატი მნიშვნელოვანი როლი სკოლამ უნდა ითამაშოს. ეს ის კიბეა, რომელიც უნდა გაიაროს საზოგადოების ყოველმა წევრმა. სკოლის იდეოლოგია საზოგადოებრივ იდეოლოგიაზე დამოკიდებული, სკოლა ის ლაბორატორიაა, სადაც გაბატონებული კლასის მასწავლებელი საითაც უნდა იქითკენ გამოაბამს ყურს მოწაფეს. მართალია, თვით ცხოვრება მთავარია სკოლაზე, ფართო და ღრმა, რამდენი გინდა უჩინო სკოლაში მოწაფეს ცხოვრება მოჩვენებათა, ეფემერია, როცა ეს მოწაფე ცხოვრებაში გამოვა და ცხოვრების მთარახი გადაეწევა ზურგზე, გოგრა უნდა ქონდეს მხრებზე რომ მთარახი მოჩვენებათ მიიღოს. მაგრამ იმის უარყოფაც არ შეიძლება, რომ დიდი, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზდა ტენის დამუშავებს, სწორი მეცნიერული მეთოდით სახნისის გასვლას ამ შემთხვევაში.

პროლეტარიატის დიქტატურის ხანაში სკოლა პროლეტარიატის იდეოლოგიას უნდა ემსახურებოდეს. დღევანდელი სკოლა, ამიტომ, უმეტესადაც ამ გზით უნდა ვიღოდეს. აქ უნდა იყოს დამყარებული და გატარებული პროლეტარული იდეოლოგიის მარქსიზმის დიქტატურა. პროლეტარიატის სოციალურ დიქტატურას თან უნდა სდევდეს მისი იდეოლოგიური დიქტატურაც — არ შეიძლება სკოლაშიც არ შევიტაოთ შრომის დიქტატურის პრინციპები.

ამ შემთხვევაში ჩვენ სახეში გვაქვს საშუალო სკოლა.

ის, რაც ზევით ვთქვით, მარქსისტულია, ხოლო ის რაზედაც ქვევით ვიტყვით მარქსისტული უნდა გახდეს.

დღევანდელ საშუალო სკოლაში საშინელი სენია გამეფებული. მე მხედველობაში მაქვს რელიგია. ეს საშინელება ძე-ღრბელში აქვთ განუღარი ნოწაფეებს. შვიდი წლის საშინელი და უდიდესი რევოლუციის შემდეგ, მას შემდეგ, რაც ჩვენ ცხვირ ბირი დაჟმტვრიეთ ყველა ზეციურსა და ქვეყნიურს ღმერთებს, აღმოჩნდა, რომ სარწმუნოების ფრონტზე სწორედ იქ, სადაც მტკიცეა ადგილი და საშიშროებაა, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. სათანადო ორგანიზაციის ამისთვის არა უღიქრნია რა ან ძალიან ცოტა, ვინაიდან არა კმარა საწვლთო სჯულის, როგორც სანოწაფელო სავნის, გაუქმება საშუალო სკოლაში.

ღმერთი გავდევნეთ გაცვეთილთა ცხრილიდან, ანაფორიანი მამათ არ დაიარება სკოლაში, მაგრამ მოწაფეებზე გადაუცემს ღმერთის უხილავი ანაფორები, ორი წელიწადია ვაკვირდები სკოლას და ვხედავ ამას, რამდენიმე მაგალითი კი, რომელთაგან ორ სამს მოვიყვანე ქვემოთ, დაგვაწერინა ეს წერილი. საქირაო ჩვენი აქეთკენაც ვალაშქრება, რომ მომავალში ულაშქროთ არ დაგრჩეთ. ჩვენი მოზარდი თაობა ხომ ჩვენი მომავალი ლაშქარია?

ერთ ერთ გაცვეთილზე საქართველოში ქრისტიანობის დამყარებას ვხსნიდი. ვისარგებლე შემთხვევით, გაფართოვებ თემა. შეგებე სა-

ერთოდ სარწმუნოების წარმოშობას, მისი დამოკიდებულებას საწარმოო ძალთა განვითარებასთან და სხვა. გაცვეთილი ასეთი სიტყვებით დავაბოლავე: არა ღმერთებმა ადამიანები, არამედ ადამიანებმა შექმნეს ღმერთები მეთქი. მოწაფეებს ეწყინათ ეს. შემდეგ გაცვეთილზე სახარება მოვიტანე, დავიწყე ყალბი ადგილების კითხვა, სხვა და სხვა მახარობელთა შედარება. კლაში ხმაურობა ატყდა, კითხვა შევწყვიტე. გაცვეთილის შემდეგ მოწაფეებმა შემაჩერეს, ანთებული თვალებით მეკითხებოდნენ: მაშ, თუ ღმერთი არაა ჩვენ საიდან გავჩნდით? ქვეყანა ვინ გააჩინა? რატომ არ კვდება სული? თუ ეს მართალია, რატომ ამაზე სხვათა შორის გველაპარაკებიან?

მეორე მაგალითი. ვხსნიდი ერთ ერთი ისტორიული პიროვნების მნიშვნელობას, კიდევ ვისარგებლე შემთხვევით, გაფართოვებ სკოთხი. უნდა გენახათ როგორი ალიაქოთი დატრიალდა კლასში, როდესაც პეტრე I და ეკატერინე II-ის „ღიდობაზე“ დავიწყე ლაპარაკი. ყველას უნდოდა გამოეთქვა თავისი აზრი. ვგრძნობდი, კლასში საშინლად დაიქიმა ნერვები, თუმცა უწი და ისრუტე იყო. ძლივს ერთი დამთავრებდა, რომ მეორე იწყებდა თავის „დასაბუთებას“, ხოლო ყველა ამ დასაბუთებას სათავე ქონდა რელიგიასში.

მაგალითები ბევრია, მაგრამ ესეც კმარა. დაუბრუნდეთ შეწყვეტილ აზრს. ჩვენ ვთქვით ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. პროლეტარიატი, რევოლუცია უუარადებოდ ვერ დასტოვებს ამას. რელიგია საშინელი ოხ-შივარია, მოწამლული პაერია და ახლავე უნდა იქნეს მიღებული საღებინფექციო ზომები, როგორც არ შეიძლება შეთავსება მადონასა და კვაზიმოდოსი, ნესტანისა და ნანასი, ცეცხლისა და ყინულისა ისე არ შეიძლება შეთავსება რევოლუციისა და ღმერთისა. რელიგია ბურჟუაზიის საშინელი იარაღია და ეს იარაღი უნდა დავეუსხვრიოთ მას.

რა არის ამისთვის საჭირო? ჩვენი აზრით სათანადო ორგანომ უნდა იზრუნოს ამაზე ამ რიგათ:

1. უნდა მოეწყოს სისტემატიური (თუნდაც თვეში ერთხელ — ეს მინიმუმია) ანტირელიგიური ლექციები სკოლებში. ნუ იტყვიან, ეს მხოლოდ მასწავლებელთა საქმეაო. გეომეტრიისა და ალგებრის მასწავლებელი ვერ ილაპარაკებს თავისი გაცვეთილებზე ამაზე, სხვა რომ არა იყოს რა სადა აქვს დღევანდელ ეკონომიურს პირობებში ჩაყენებულს მასწავლებელს საშუალება ამ საკითხზე ახალის წიგნების შეძენისა? ის უბრალო კულტურულ მოთხოვნისაა ცვერ იკმაყოფილებს — გაზეთსაც ვერ ყიდულობს.

2. უნდა დარიგებულ იქნეს ყოველ სკოლაში ანტირელიგიური დიარამები, პლაკატები, სურათები. უნდა იქნეს გაკრული დერეფანის კედლებზე. იქ მოწაფემ თავის თვალთ უნდა ნახოს, რომ ზღაპარი „ჩასახვისა“ ქრისტიანობას ნასესხები აქვს და სხვა და სხვა. საქირაო მხოლოდ ამ საქმიანობაში ბავშვის ფსიხოლოგიის გათვალისწინება; სურათმა ბავშვის გონებაზე უნდა იმოქმედოს და მისი ესთეტიური შეგრძნობაც არ დააზიანოს.

3. სკოლა საზოგადოებრივი საქმეა, ამიტომ ყოველ სკოლას უნდა დაენიშნოს თავისი ანტი-

რელიგიური სეფი, უკანასკნელმა უნდა იზრუნოს სკოლაზე ამ მხრივ. ანტირელიგიურ პროპაგანდას სპეციალისტები სჭირია, სეფმა უნდა გამოიწიოს, თუნდაც დაიქირავოს ასეთი. უკანასკნელთა, არას გზით უქმე დღე, მოწაფეთათვის დასასვენებელი არ უნდა მოხმარდეს ამ საქმეს.

შეიძლება ვინმე იფიქროს, რა საქირაო ეს გაწა მაწია, იყიდოს წიგნი სკოლამ და იკითხოს მოწაფეებმაო. არ კმარა ეს, არ კმარა. წიგნის კითხვასაც შესწავლა უნდა. ეს რომ ასე იყოს მაშინ სკოლებიც არ ენებოდა საქირაო, განსაკუთრებით უმაღლესი:

ამით შეიძლება იმეორის დამთავრება, მაგრამ ცალმხრივობა ან მოუფიქრებლობა რომ არ დაგვწამონ ერთი მოვლენაც უნდა აღვნიშნოთ. ეს არის თანამედროვე ოჯახი. თუ ოჯახი ბურჟუაზიულია, თუ დღესაც ოჯახის ცენტრებზე ხატი კილია, სკოლას ვერ გაამარქსისტებთო. ეს აზრი მართალია ფორმალურათ. მაგრამ, ჯერ ერთი რომ ძველი ოჯახი და ყოფა ინგრევიან; მოწაფე ხომ ხედავს, რომ არავითარი „ღვთაებრივი საიდუმლოება“ არა ყოფილა არც ქორწინებაში და არც ნათვლაში; მეორე, და ეს უმთავრესი, როცა ოჯახი სკოლას აძლევს თავისი შეიქს, ჩანს ალზრდაში კერძო ინიციატივა ლეშია, ბავშვი ფსიქოლოგიურათ ითვისებს ამ აზრს, რომ სკოლა მალეა ოჯახზე როგორც კოლექტიური დაწესებულება, რომ ის, რასაც სკოლაში გტყვიან, უთუოდ მართალია. წინააღმდეგ შემთხვევაში უაზრობა იქნებოდა ოჯახის მიერ ბავშვის სკოლებში გაგზანა (თუმცა დღეს ის ვალდებულია ასე მოიქცეს), ამ შემთხვევაში ბავშს, რასაკვირველია მოზრდილს, დაეკარგებოდა მშობლების პატივისცემა. ესეც რომ არ იყოს, თანამედროვე რევოლუციონური სკოლა უნდა შეებრძოლოს თანამედროვე არარევოლუციონურ ოჯახს ბავშვზე გვიემონის მოსაპოვებლათ.

ამას შესძლებს სკოლა, ეს უნდა ქნას სკოლამ.

ამას მოითხოვს მუშათა კლასის ინტერესები, ამას მოითხოვენ რევოლუციის პერსპექტივები...

რ. ქორქია.



## ჩვენი გზა უსწორესია.

(ისევ ს. დგვარაიანის პოზიციის შესახებ)  
მარქსმა მოგვცა მეცნიერული სოციალიზმის თეორია და სხვა.

მის შემდეგ რამდენიმე ათეულში წლებმა განვლო, მარქსის მოძღვრებას დიეწაფა როგორც მუშათა კლასის, ისე ყოველი ჯურის ბურჟუაზია და მისი მემკვიდრენი.

ბუნებრივია, რომ ყოველგვარ მოვლენას, ყველანაირ მეცნიერებას ინდივიდუალთა ითვისებას თავისებური გავებით.

ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ ვისი გონება როგორ მიწვდება ამა თუ იმ მოვლენას და როგორ შეიგნებს. მარქსიზმი ერთი ურთულესი მეცნიერებათაგანია, სწორედ ამას უნდა მიეწეროს ის მდგომარეობა, რომ მარქსისტული მსოფლმხედველობა ბევრ ნაირათ იქნა

გაგებულნი, ათასიარო მიდგომით გაშუქებული და ათი ათასჯერ დამახინჯებულიც.

ჩვენი წერილის მიხანი არ არის მარქსიზმის ფილოსოფიური გარკვევა, ან მისი დეტალიზაცია, მაგრამ სანამ საქართველოს მუშათა მოძრაობის უკანასკნელი სამი წლის ისტორიის გადაფურცლავდეთ, აუცილებლად საქირთა ხაზი გაუსვათ იმ მოვლენას, რომ მარქსიზმის ყალბი გაგება მარტო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის თვისებას არ შეადგენს.

მარქსისტული მოძღვრების პირველი დამახინჯება მოხდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიის კლასიკურ ქვეყანაში, გერმანიაში. ბურჟუაზიულ წრიდან გამოსულმა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებმა თავის ინტერესების და მიხედვით გაიგეს მუშათა კლასის ლიდერული მოღვაწის ნაზრები და დაიწყეს მისი რევიზია, მისი გადამახინჯება.

მუშათა კლასი ყოველთვის იყო ექსპერიმენტარულ საგნათ სხვადასხვა სჯულის ლიდერთათვის.

მუშათა კლასი ხშირად ენდობა პარტიისან მოლაპარაკეს, რომელიც სიტყვებს შუა თითქოს მშობელთა ინტერესების დამცველი გამოდის, ხოლო ნამდვილათ კი მუშათა კლასი უნდა გამოიყენოს თავისი პირადი საქმისთვის, თავისი ან კლასის სასარგებლოდ. ესლა საქართველოს სოციალ დემოკრატიაზე. საქართველო მეტრენობის ქვეყანაა, ერის 90% სოფლის მუშა შეადგენს და არც ვასაკვირალია ჩვენი ქვეყნის სოციალ დემოკრატიული პარტიის წვრილ ბურჟუაზიული ფსიხიკის რკალეებში მომწყვედვა.

მაგრამ ეს მოვლენა სრულიათ ამართლებს მათ, რომ მაქსიზმი დაემახინჯებიათ?

საქართველოს სოციალ-დემოკრატია ვერ დააფასა რევოლიუტია, ის ვერ მიუდგა თებერვლის რევოლიუტისას მარქსისტული საზომით, ვერ მისწვდა ოქტომბრის რევოლიუტის დიადობას.

საქართველოს სოციალ-დემოკრატია რევოლიუტის პირველ დღეებიდანვე ასცდა სოციალისტურ გზას და ჩაეფლო „კერენწმინაში“.

საჭირო იყო ისეთი მტკიცე ნების ყოფის ადამიანი, შეუდარებელი შორს მკვრეტელი და მარქსიზმის უაღრესი პუპულიარიზატორი, როგორც ამხ. ლენინი იყო, რომ რევოლიუტისის მონაპოვარი შეგვენარჩუნებია. ლენინი თავიდანვე გაექცა წვრილ-ბურჟუაზიულ ჩარჩოებს, მან თავიდანვე სასტკი ომი გამოუცხადა მსოფლიო ბურჟუაზიას და ამ შეუდარებელი ადამიანის დაუღალავი შრომით გადაჩრა რუსეთის რევოლიუტია დენიკინ, კოლჩაკ—ალექსეევის კლანჭებს.

საქართველოს მენშევიზმი ჩაიკეტა ეროვნულ ფარგლებში.

მაგრამ 25 თებ. გაირღვა რკალი, ჩვენშიც აღიმართა რევოლიუტისის ემბლემა—წითელი დროშა. მხოლოდ ორი წლის შემდეგ დღიდან გასაბჭოებისა, სახელდობრ 25 აგვისტოს ჩამოშორდა ლიდერებს მენშევიკური პარტიის მუშური ნაწილი და უშუალოთ დადგა კომინტერნის პლატფორმაზე.

აქედან იწყება გადატების ხანა.

პარტიის დისკოლინა დაარღვია თვით მასამ და აღიარა დიქტატურა.

ჩვენთან მოვიდა სეთი დევდარიანიც, რომელიც პარტიის ერთი აქტიური ლიდერთაგანი იყო.

„მისმა მოსვლამ“ აღფრთოვანება გამოიწვია. დაიწერა წერილები მოსელის სახეიმო ლექსები და სხვა, მაგრამ სეთითი დღემდე ისევ გაურკვეველი დარჩა.

ჩვენ იანვრის გაზეთ „ბრძოლაში“ ვწერდით მენშევიზმის ლეგალიზაციის შესახებ, რომელსაც მასმინ მოითხოვდა ამხ. სეთითი თავის ბუნდოვან წერილებში. ჩვენი წინასწარ მეტყველური აზრი მართლდებდა, სეთის განოსვლებში ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ მენშევიზმის ლეგალიზაციისაკენ გადადგმულ ნაბიჯებს ვხედავთ.

ჩვენ აგვისტოში გარკვეულად დაედქით მე III კომინტერნის დროშის ქვეშ.

— სეთის კი არ მოსწონს არც მე III და არც მე II ინტერნაციონალი, ელის ახალ ინტერნაციონალის დაარსებას.

დროთა ბრუნვაში ისტორიის ფურცლებს წაყვება მე III კომინტერნი, დაარსდება ახალი, მაგრამ სანამ ეს ასე არ არის, სანამ არსებობს ორი ინტერნაციონალი ამ ორში ერთი უნდა მიიღოს, ამ ორში უნდა დაუახლოვდეს იმას, რომელიც უფრო მეტად იცავს მშრომელთა ინტერესებს, რომელიც უფრო მარქსისტულია.

ჩვენ ყველამ ვიცით მეორე ინტერნაციონალის მოღვაწეობა, ვიცით მისი ისტორიული დამსახურება მუშათა კლასის წინაშე. ჯერ კიდევ იმპერიალისტური ომის დასაწყისში ქეშმარიტი სოციალისტური პარტიები ჩამოშორდნენ მე II ინტერნაციონალს, იქ დღეს მხოლოდ შვიდმან-ნოსკეს სახის სოციალისტები არიან მოკალათებულნი.

ჩვენ ძალიან კარგათ ვიცით მე III კომინტერნის როლიც. მისი დაუღალავი მუშაობა ბურჟუაზიულ ანტანტის ცეცხლის წასაკიდებლათ.

ჩვენ ვიცით, რომ მე III კომინტერნი აერთიანებს დღეს ქეშმარიტ სოციალისტურ პარტიებს.

ჩვენ ვიცით, რომ კომუნისტური ინტერნაციონალი არის ერთად ერთი ხიდი სოციალიზმისაკენ.

მენშევიკურ პარტიის მუშურმა ელემენტებმა 25 აგვისტოს დადწიეს თავი ოპორტიუნიზმს და დადგნენ ამ ინტერნაციონალის გზაზე.

მუშებმა შესძლეს თავი დაეხრათ ლიდერების გაველენისათვის და გულწრფელად შემოკრბენ ლენინის პარტიის გარშემო.

სეთი დევდარიანი თითქოს შეურაცყოფილია, რომ მასსა შემოეცალა და თავისი გამოსვლებით ცდილობს შემოიკრიბოს ძველი ლაშქარი, მაგრამ გვიან არის, ჩვენი გზა, გზა 25 აგვისტოს არჩეული ყველა გზებზე უსწორესია.

საქართველოს მშრომელნი საქმოდ გამოიჩვენენ, მათ მიაგნეს მუშათა ინტერესების ქეშმარიტ დამცველ პარტიას.

ეს გახლავთ კომუნისტური პარტია, რომელმაც საქმით დაამტკიცა, რომ მხოლოდ და მხოლოდ ის არის ერთად ერთი პარტია საერთო მამტაბით, რომელიც თავდავიწყებით დარაჯობს მშრომელთა ინტერესებს.

ჩვენო მასწავლებლო სეთო! დაანებეთ თავი ორკოფულ მდგომარეობას, მოიშორეთ თავიდან სამუდამით ყოველგვარი უარყოფითი მხარეები, რაც მენშევიზმა მოგვცა და ჩამოღქით ისევ იმ მუშებში, რომელთა ინტერესებს ემსახურებოდით თქვენ 1918 წლამდე. აგვისტოს გზა ყველა გზებზე უსწორესია!

შაღვა გოშართელი.



## საერთაშორისო მდგომარეობა და საბჭოთა კავშირი

(ამხ. ტროცკის მოხსენება თბილისის საბჭოს საგანგებო კრებაზე მარტის 11-ს)

### ჩვენი მიღწევები და დანაკლისი

სიმართლე უნდა ვსთქვა, მე ერთგვარის სიფრთხილით ვიწყებ ჩემს დღევანდელ მოხსენებას.

ორ თვეზე მეტი გავატარე კავკასიაში. ორი თვე გავატარე მე კავკასიის უმშვენიერეს კუთხეში, აფხაზეთში, სადაც მე პირველათ ვარ, როგორც იცით, აფხაზეთში ბრწყინავს მშვენიერი მზე, იქ არიან მშვენიერი ამხანაგები, მაგრამ ასეთი მშვენიერი არ არის საფოსტო სატელეგრაფო კავშირი.

ამიტომ მე მოწყვეტილი ვიყავი ცენტრს, გაზეთებს, რომლებიც დაგვიანებით მოდიოდნენ. როცა მე მომმართავდნენ ამხ. ჟურნალისტები ინტერესისათვის, იძულებული ვიყავი ცნობები მიმეღო მათგან და მე-კი ვერაფერს ვაწვდიდი მათ.

მართალი უნდა გითხრათ, ინტერვიუ—ეს ძლიერ ცუდი ბურჟუაზიული თვისებაა.

მეც ჟურნალისტი ვარ და ამაში უნდა გამოვტყდებ.

მე გამივივრდა, როცა წავიკითხე „ზარია ვასტოკაში“, რომელიც არის ჩვენი კავშირის ერთი საუკეთესო გაზეთთაგანი, ჩემი ინტერვიუ.

არავითარი ამის მსგავსი მე არ მიოქვამს და შეიძლება ჩემმა მეგობარმა ჩიჩერინმა საყვედურიც კი მიითხრას ამისათვის.

ნება მომეცით გავაცეთო საერთო ხასიათის მოხსენება, ჯამი გაუკეთო უკანასკნელ პერიოდს, უკანასკნელ წელს.

ჩვენ გვაქვს უდიდესი მიღწევანი აგრეთვე გვაქვს მნიშვნელოვანი ნაკლი, რომელიც წარმოადგენს მინუსს მსოფლიო ძალათა შალანში.

ეს არის ბელადის დეკარგვა. ამ უდიდეს დანაკლისს ითავისწინებენ, აფასებენ მეგობრები და მტრები.

მეგობრები—უდიდესი გულსტკივილით, თანაგრძობით; მტრები, კი—ბოროტი ხაო

ხარით, იმედით, რომ უდიდესი ბელადის და-  
კარგვა შეარყევს ჩვენს სიმტკიცეს.

მტრების პოროტი იმედები არ გამართლდა.  
ზომებს, რომელთაც შეეძლოთ კოლექტიუ-  
რით აენაზღაურებოდათ ეს დანაკლისი, ჩვენ  
ვლებულვართ, ვლებულვართ და აწივ მივი-  
ღებთ.

თუ ამ დანაკლისით გამოწვეული მწუხარე-  
ბის აცილებმა არ შეიძლება, ჩვენ მივიღებთ  
ზომებს, რომ მტრების იმედები არ გავაზარ-  
თლოთ. (მთელი დარბაზის ტაში)

მსოფლიო მდგომარეობა, დღევანდელი ჩე-  
ნი კავშირის სიმძლიერის თვალსაზირისით,  
დღესაც რთულია, მერყევია, მაგრამ საერთოდ  
ხელსაყრელია ჩვენთვის.

ამ საერთაშორისო მდგომარეობის დაფასე-  
ბა შეიძლება სხვა და სხვა მხრიდან,  
მიუხედავად მის გაზეთის მხრიდან.

**ჩვენ და რუმინეთი**

„ზარია ვასტოკაში“ სწორათ არ არის ვად-  
შიოცემული ჩემი აზრი რუმინეთთან დამოკი-  
დებულების შესახებ.

მე უნდა ვსთქვა ეს იმიტომ, რომ უფრო  
სწორათ გადმოცემთ ჩემი აზრი.

ბესარაბიის შესახებ ჩემი აზრი გადმოცემუ-  
ლია ისე, თითქო მე ომს რუმინეთთან შესაძ-  
ლებლათ ვსთვლიდე.

ეს ასე არ არის.  
საკითხი რთულია, მწვავეა და აქ ორაზრო-  
ვნობა შეუძლებელია.

ჩვენ მოვითხოვეთ პლებისციტი, მთელი ბე-  
სარაბიის მცხოვრებთა შეკითხვა იმის გასა-  
გებათ, ვისთან სურს მის ყოფნა.

პლებისციტი—ეს ყველაზე უფრო დემოკრა-  
ტიული საშუალებაა.

საერთაშორისო მენშევიზმს ჩვენ ამისათვის  
ხელი უნდა ვეტარებოთ.

უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ არ უარვყოფთ დე-  
მოკრატიის საფასვებით და მთლიანათ.

ბრძოლას თვითმპყრობელური, მემამულეების  
რუსეთის წინააღმდეგ ჩვენ აუცილებლათ და  
საჭიროდ ვსთვლიდით დემოკრატიასთან ერ-  
თად.

რუმინეთის შავრაზმელ, მემამულეების სა-  
შინდო რეჟიმთან შედარებით დემოკრატია  
პლიუსია იმის გასაგებათ, თუ ვისთან სურს  
ყოფნა ბესარაბიის ხალხს.

რუმინეთმა უარი სთქვა, არ მიიღო ჩვენი  
წინადადება პლებისციტის შესახებ.

წინავეს ეს ომს?  
არა, არ წინავეს ომი არ იქნება.

რუმინეთს ჰყავს ჯარი რალაცასთვის, ჩვენც  
გყავს ჯარი რალაცასთვის (ტაში).

ამხანაგებო! თქვენი ტაში ბუქარესტში შე-  
უძლიათ გაიგონ ისე, თითქო თქვენ გსურთ  
ჩვენი ჯარი ამოქმედოთ.

რას წინავეს მოლაპარაკების შეწყვეტა?  
მე მოვიყვანე ფრანგული ანდაზა.

კარები დახურულია და არ არის დახურული  
რას წინავეს—კარები დახურულია? ეს იმას  
წინავეს, რომ შიგ შესვლა არ შეიძლება.

კარები არ არის დახურული, ეს იმას წინ-  
ავეს, რომ მდგომარეობა უცვლელი რჩება.

ჩვენ ვი კარებს ნახევრათ ღიათ ვტოვებთ,  
ეს წინავეს: არ ცვნობთ დაპყრობას და გარ-

კვეთთ ვეზუბებით ამას საერთაშორისო პრო-  
ლეტარიატს და კერძოდ ბესარაბიის მშრო-  
მელთ და უცდით. მდგომარეობა კი იცვლება.  
ეს არის დაცლის პოლიტიკა, არა სავსებით  
ნიეტრალური და არა კეთილგანწყობილი.  
რუმინეთის პოლიტიკა არ არის დამოუკი-  
დებელი პოლიტიკა. რუმინეთის უკან დგას  
საფრანგეთი. საფრანგეთი დგას პოლონეთის  
უკან.

**საფრანგეთის ინტრიგები**

როცა ჩვენ ახლა უახლოვდებით საფრანგე-  
თთან შეთანხმების მომენტს,—ამას სწერენ  
საფრანგეთის ბურჟუაზიული გაზეთები და  
თვით პუანკარე კი შეგობრული ენით ელაპა-  
რაკება ჩიჩერინს,—საფრანგეთმა გაათქვამა  
ჩვენს წინააღმდეგ მუშაობის მტრული ხასიათი  
მან დაამტკიცა ბესარაბიის შეერთების აქტი.  
ამავე დროს საფრანგეთმა დაიწყო გააფ-  
თრებული კამპანია პოლონეთში: დიდი ხანია  
პოლონეთის პრესას არ ულაპარაკებია ჩვენს შე-  
სახებ ასეთი კილოთი, როგორც ახლა ალა-  
პარაკდა.

საფრანგეთი ყოველივე ღონეს ხმარობს იმი-  
სათვის, რომ ჩვენ ვაღდაკიდლოს ოსმალეთს.

ოსმალეთის პრესა სხვანაირად ალაპარაკდა,  
ყოველ შემთხვევაში მისი ერთი ფრთა.

საფრანგეთის ფრანკიც დაეცა, მაგრამ მას  
ჯერ კიდევ საიმური წკრილი გააქვს ზოგი-  
ერთი ოსმალე ჟურნალისტის ყურში.

საფრანგეთი ეხმარება მკირე ანტანტას,  
გვისისინებს ოსმალებს და ამავე დროს აცხა-  
დებს, რომ შეთანხმება შესაძლებელიაო.

ეს არის ტიპური ვაჭრული შანტაჟი. რა  
სურს ამით საფრანგეთს? ის მოითხოვს ჩვენ-  
გან ვალების განაღდებას: გადაიხადე და მა-  
შინ ყველა ეს უსიამოვნებანი გაქრებო. ამით  
საფრანგეთს სურს, რომ გვაგარძობინოს ჩვენ,  
რომ მასთან შეუთანხმებლად მოსვენებული  
ვერ ვიქნებით ეს არ არის ნემსების ჩხვლეტის  
პოლიტიკა.

რასაკვირველია, საფრანგეთის ბირჟა ვა-  
ყიდის, ულატებს ყველას—რუმინეთსაც, პო-  
ლონეთსაც, ოსმალეთსაც, როცა ჩვენ ვალების  
გადახდაზე დავთანხმდებით. ჩვენი არ ცნობა  
არის საფრანგეთის შანტაჟის ერთი საშუალე-  
ბათაგანი, ის ემყარება პლატონიურ დატყუ-  
ებაზე.

ამხანაგებო, ჩვენთვის ნათელია, რომ ბატო-  
ნი პუანკარე ამ პოლიტიკით წააგებს.

ჩვენ გვეყავდა მოწინააღმდეგე უფრო მაგა-  
რი, ვიდრე პუანკარე ეს იყო მისი წინამოად-  
გილე კლემანსო.

კლემანსოს სიძულვილი ჩვენდამი იყო სი-  
ძულვილი 98 ყალიბის.

ის ამბობდა, რომ საჭიროა კავშირი უნდა  
დაიხრჩოს ბლოკადის რაკლში, მას უნდა შე-  
მოველოს ეკლიანი ხლართი. და თუ ჩვენ შევ-  
სძელით ამ ხლართის გარღვევა, ჩვენ შეგვიძ-  
ლია უთხროთ: ბატონო პუანკარე! თუ თქვენმა  
წინამოადგილემ ვერ დგელუბა ჩვენ თავისი  
მავთლის ხლართის შემოვლების პოლიტიკით,  
მაშინ ვერ შეგვაშინებს და ვერაფერს დაგვა-  
კლებს თქვენი ნემსების ჩხვლეტის პოლიტიკა  
(მწუხარე ტაში)

**გერმანიის მდგომარეობა.**

შემდეგ ამხ. ტროცკი გადადის გერმანიაში  
მდგომარეობის შეფასებაზე.

— წარსული წლის მეორე ნახევარი ჩვენ  
გავატარეთ გერმანიაში რევოლუციის მოახ-  
ლოვების ნიშან ქვეშ. ეს იყო მსოფლიო რევო-  
ლუციის მთავარი ფაქტორი. გერმანიის მაგა-  
ლითმა ჩვენ გვაჩვენა, რომ წმინდა სოციალ-  
დემოკრატიული რესპუბლიკა იყო ჩვენი, რომ-  
ლითაც ფეხს იწმინდნენ პუანკარე და კლემან-  
სო. ეს იმ დროს, როდესაც მათ კბილები მო-  
იმტერიეს საბჭოთა რესპუბლიკებზე. რატომ  
დამარცხდა იქ რევოლუციამ? პირველყოფისა  
იმიტომ, რომ იქ არ იყო კომუნისტური, გა-  
მობრძმედილი პარტია ერთნაირი ნებისყოფით,  
ძლიერი ბელადით. რა არის მის გასამარჯვე-  
ლად საჭირო? პირველყოფისა სამრეწველო  
ძალთა განვითარება, პროლეტარიატის ავან-  
გარდის მიერ შეგნება რევოლუციისა და მის-  
თვის გაბედულად წასვლა თუნდაც სიკვდილზე,  
რომ თან გაიყოლოს დაჩაგრული მასები. სა-  
ჭიროა ამავე დროს თვით ბურჟუაზიაში მოხ-  
დეს სრული დემორგანიზაცია, არევე-დარევე.  
გერმანიაში იყო ეს ქაოსი, ბურჟუაზიის დაბ-  
ნევა, ჩვენ აწ განსვენებულ მანეთის შექმლო  
შურით შეხებდა გერმანიის მარკისათვის; იყო  
აგრეთვე პროლეტარულ მასების აღშფოთება  
—ერთი სიტყვით, მატერიალური და პსიხო-  
ლოგიური პირობები რევოლუციის.

თქვენ გახსოვთ, თუ როგორი მდგომარეობა  
იყო გერმანიაში.

რა ახასიათებდა გერმანიის მაშინდელ მდგო-  
მარეობას?

გერმანიის ბურჟუაზიამ დაპყარვა გონება.  
მის რიგებში სრული არევე-დარევე სუფევდა.  
მარკა ეცემოდა. ფასები პირველ მოთხოვნილე-  
ბის საფრებზე საარაკოდ იზრდებოდა. ხდებო-  
და შეტაკებები. მთავრობა კვირიდან კვირა-  
ში იცვლებოდა.

თქვენ გახსოვთ შტრეზემანის განცხადება.  
მან სთქვა: ჩვენ უკანასკნელი ლეგალური პარ-  
ლამენტარული მთავრობა ვართ. ჩვენ შემდეგ  
მოვლენ ან კომუნისტები ან ფასისტები.

ფაშისტებმა კი განაცხადეს: არა, დე, ჯერ  
მოვიდენ კომუნისტები, ჩვენ კი მოვალთ მათ  
შემდეგ.

ეს იმის მაჩვენებელი იყო, რომ ბურჟუაზია  
გახრწნის უკანასკნელ სტადიაში იმყოფებოდა.

ფართე მასები რყევაში იყვნენ. არ იყო გამ-  
ძილო, მათი ბრძოლაში წამყვანი.

ოქტომბერში, როცა ჩვენ ძალა-უფლება  
ავიღეთ ხელში, პროფკავშირების სათავეში  
მენშევიკები დავგვხდა. რატომ? იმიტომ, რომ  
მუშათა კლასმა ვერ მოასწრო წარსულის  
ტერის ერთბაშათ ჩამობრტყევა.

რატომ არ არის დღემდე გამარჯვება გერ-  
მანიაში?

პასუხი ერთია: გერმანიაში მუშათა კლასს  
არ ჰყავდა ისეთი ხელმძღვანელი, როგორც  
გვყავდა ჩვენ ოქტომბრის დღებში, არ იყო  
ისეთი პარტია, რომელსაც ჰქონოდა ისეთი  
გამოცდილება და სიმტკიცე, როგორც ჩვენს  
პარტიას.

შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ისეთი  
ხელსაყრელი პირობები რევოლუციისთვის,

როგორც იყო წარსული წლის მეორე ნახევარში, წარმოუდგენელია.

მე არ ვთვლი, თითქო გერმანიის პროლეტარიატის გამარჯვება დიდი ხნით იყოს გადადებული.

მდგომარეობა ისევ რევოლუციონური რჩება. წარსული წლის ოქტომბერ-ნოემბერი დამარცხება იყო. ამაზე უნდა ისწავლოს გერმანიის პარტია.

**სამი მომენტი.**

რევოლუციის გამოცდების შესაფასებლად უნდა ავიღოთ სამი მომენტი:

1918 წლის სექტემბერი იტალიაში, 1923 წ. ოქტომბერ-ნოემბერი გერმანიაში და ჩვენს ოქტომბრის რევოლუცია.

ისტორიის მიერ მომზადებული და სოციალისტების მიერ ჩაშლილი რევოლუცია იტალიაში. მუშათა კლასი იქ ჩაება ბრძოლაში, მაგრამ სოციალისტებმა საბოტაჟი გაუკეთეს რევოლუციას და ზურგში მახვილი ჩასცეს მუშათა კლასს.

ისტორიის მიერ მომზადებული რევოლუცია გერმანიაში, სადაც კომპარტიამ ვერ შესძლო მოძრაობის ხელმძღვანელობა.

ჩვენში იყო მომხდარი. დამთავრებული და გამარჯვებული რევოლუცია.

ეს სამი მომენტი გათვალისწინებული უნდა იქნეს.

რომ შარშან გერმანიაში ყოფილიყო ჩვენს პარტიასავით გამოზრდილი, გამოცდილი პარტია, მუშათა კლასი ზურგს გაუმარჯებდა მას და ის მუშათა კლასის 99 პროცენტის მეთაური შეიქნებოდა.

რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ აქედან! დასკვნა, რასაკვირველია, პოლიტიკური, რომ პარტიისათვის საჭიროა მომზადება, პარტიული ნებისყოფის გაკალება.

რა პირობები დარჩება გერმანიაში მომავალში რევოლუციის განვითარებისათვის?

უნდა ითქვას, რომ მდგომარეობა იქ ცოტათი შეიცვალა. მდგომარეობის სიმწვავე რამდენიმე შესუსტდა. მიღწეულია მარკის ერთგვარი სტაბილიზაცია, ფასების ზღაპრული ხტომა შეწყდა, უმუშევართა რიცხვი შემცირდა, მრეწველობა ცოტათი გაუმჯობესდა და ცოტათი გაუმჯობესდა მუშათა კლასის მდგომარეობაც.

შემდეგ კი, შემდეგ?..

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელია, მაგრამ მე ვეცდები ზოგადად მიიწვი ვთქვა. განვითარება შესაძლებელია წაიფიდეს ორი გზით: ან საფრანგეთი, ინგლისი და ამერიკა შეეცდებიან შეამსუბუქონ გერმანიის მდგომარეობა. მაშინ ეს ნიშნავს გერმანიის მრეწველობის ერთგვარ აღდგენას, გერმანიის ექსპორტის გაზრდას ეს კი მოასწავებს კრიზისის გაძლიერებას პირველყოფისა ინგლისში და შემდეგ საფრანგეთში. ინგლისში ახლაც კი ერთ მილიონზე მეტი უმუშევარია.

ამიტომ მაკონალი ხელს იბანს,—საზოგადოდ მაკონალი ხელები სუფთა არა აქვს პოლიტიკაში.

თუ გერმანიის მდგომარეობა არ იქნა შემსუბუქებელი, მაშინ მისი მრეწველობა დაეცემა, უმუშევრობა გაიზარდება და მდგომარეობა

გართულებდა უფრო სწრაფად, ვიდრე შარშან.

პირველსა და მეორე შემთხვევაშიც რევოლუციის პერსპექტივები დიდი.

**მდგომარეობა ინგლისში.**

ეხლა ინგლისზე, მის ეგრედ წოდებულ მუშათა მთავრობაზე. თქვენ იცით რომ მუშათა მთავრობას არა ჰყავს აბსრლიტუტური უმრავლესობა პარლამენტში. მისი მთავრობა იდეალია მართლმორწმუნე მენშევიკებისათვის. თვით მუშათა კლასი, რომლისაგან არჩეულია ეს მთავრობა, ძლიერ ნაკლებ განსხვავებას ხედავს ლიბერალებს და მუშათა პარტიის შორის.

ის ფიქრობს, რათ გავსწიოთ ხარჯები ბარგის გადატანაში და რათ შევიცვალო ბინა, როცა სახლის „პარტიონები“ მხოლოდ გვართ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

არც ერთ პარტიას პარლამენტში არა ყავს უმრავლესობა.

ლიბერალებმა და კონსერვატორებმა უთხრეს მაკონალს: მოზრძანდით, აიღეთ ხელში ძალა უფლება, გვიცენით რის გაკეთება შეგიძლიათ თქვენ.

მაკონალმა აიღო ხელში ძალაუფლება, მაგრამ მას არ აქვს თავისუფალი მოქმედების საშუალება—მარჯვენა ფეხი უნდა წაიბოძოს კონსერვატორებზე, მარცხენა კი—ლიბერალებზე.

მაკონალს აქვს გამოსავალი. მას რომ მოეხდინა მალარობის, მსხვილი მრეწველობის ექსპროპიაცია, მოეხდინა მას,—თუ ამას თქმის ნებას დამრთავე აშხ. ჩიჩერინი,—მეფის გვარულობის ექსპროპიაცია, და მართლა დროა ამ დახავსეული ნაშთის ექსპროპიაციის მაშინ ინგლისის ყველა მუშები მის მხარეზე იქნებიან; რომ მას გარდა ამისა ეთქვა დროა გავხვეტოთ მაგარი ცოცხით საშუალო საუკუნოების ნაშთების საკრებულო ლორდთა—სალატა, რომ გამოცხადებია ბანკების ნაციონალიზაცია,—ინგლისის ბანკებში ცოლა მეტს ნახავდენ. ვიდრე ჩვენ ჩვენს ბანკებში ვნახეთ.—მაშინ ის იქნებოდა თავისი ქვეყნის ბატონი პარტიონი, რადგან ინგლისში მუშები ცხრა მეათედს შეადგენენ. მას რომ ეს ექნა, ინგლისის ორ კვირაში ვერ ვიცნობდით,

ინგლისის ბურჟუაზიამ თავისი ბატონობის დასაცავად 100 სხვადასხვა გვარი ეკლესია შექმნა. ეს მისი ხელობაა.

აკი თვით ლიბ-ჯორჯმა განაცხადა, რომ ეკლესია ცენტრალური ელექტრო სადგურია ყველა პოლიტიკური პარტიებისათვის.

თვით მაკონალი შოტლანდიის პურიტანულ ეკლესიას ეკუთვნის, ხოლო მისი მეგობარი და მარჯვენა ხელი, შინაგან საქმეთა მინისტრი ჰენდერსონი, ერთ-ერთი საეკლესიო საზოგადოების თავმჯდომარეა.

იქ დაუშვებელიე ატვისტობა, ურწმუნობა, თვით, დარცინი, ეს მარქსი ბიოლოგიაში, ვერ ბედავდა თქმას, რომ ის ატვისტი იყო.

1902 წელს მე და ილიჩი ვიყავით ლონდონში ერთ მიტინგზე, რომელზედაც მაშინდელი დროის მიხედვით საქმაო რევოლუციონურ სიტყვას ამბობდა ვილაც ავსტრალიდან დაბრუნებული ინგლისელი მუშა. სიტყვის და-

სრულების შემდეგ ადიუტორიამ, რომელიც შეკრებილი იყო ეკლესიაში, ივალობა პიჩნი, რომლის აზრი ისეთი იყო: ღმერთო, გვიშველე გაქვირებიდან, მოსპე მდიდარი და ღარიბუო. (სიცილი). ეს ფაქტი დამახასიათებელია ინგლისელი მასების სულისკვეთების გამოსახატავად.

მაკონალი აცხადებს, რომ ის განაგრძნობს ძველი მთავრობის პოლიტიკას, მან დამტკიცა 5 ახალი კრემსერის აგების გეგმა, მუშათა მთავრობა ანხორციელებს კონსერვატორების მთავრობის სამხედრო-საჰაერო შეიარაღების გეგმას.

მაკონალმა წერილი მისწავდა ჰუანკარეს, რომ ინგლის-საფრანგეთის კავშირი ევროპაში მშვიდობიანობის ფუძეაო.

ვანა ინგლისის მუშათა მთავრობას არ შეეძლო სხვა მოკავშირის არჩევა საბჭოთა კავშირის მშრომელთა სახით?

მაკონალმა ჩვენ კი არა, საფრანგეთის ბირგას მიმართა.

ასეთია მენშევიზმი მოქმედებაში.

მაკონალი ვამოდის. როგორც აგენტი მტაცებლურ იმპერიალიზმის. არავინ არ სხაბთ ისეთ კოლონიებში, როგორც ინგლისის მენშევიკები.

ოსმალეთის მთავრობამ გააუქმა ხალიფატი. ინგლისის მუშათა მთავრობამ აიღადგინა ხალიფატი გეჯასში. გლადსტონი ვეღურებს უწოდებდა ოსმალებს, იეგლისის მუშათა მთავრობა კი სუბსიდიებს აძლევს გეჯასის ხალიფს ჰარამხანისათვის (rapem); ამას მოითხოვს ხალიფის პოსტი იმის ნაცვლად, რომ ეს ფულები მუშებს მოახმარონ.

(დასასრულ. იქნება.)



**ინგლის-რუსეთის კონფერენცია**

(მაკონალის სიტყვა.)

მაკონალმა თავის მისასალმებელ სიტყვაში განაცხადა, რომ კონფერენცია არის დამატება საბჭოთა მთავრობის იურიდიულად ცნობის ფორმალურ აქტისა. თუ იურიდიული ცნობა უნდა მოასწავებდეს იმაზე მეტს, ვიდრე რაკოვსკის მოწვევა ფორმალურ კონფერენციაზე, მაშინ ორივე მხარე უნდა სცდილობდეს პრაქტიკულად განიხილოს დღევანდელი მდგომარეობა, რომელიც არ უნდა იქნას დამახინჯებული ერთის კალმის მოსმით ან ამა თუ იმ მხარის ცნობებით, რომელიც შედგენილი იქნება მტრული ცნობით. მთელ რიგ ფაქტების შესახებ, რომელიც მოითხოვენ ზედმიწევნით შესწავლას, საჭიროა მიუღლომელი აზრთა გაცვლა-გამოცვლა და ორივე მხარეს წინადადებათა გონივრული განხილვა.

კონფერენციის პირველ ამოცანად უნდა იყოს წარსულის ლიკვიდაცია. მეორე—შეთანხმების მიღწევა იმ უფლებებსა და მოვალეობათა შესახებ, რომელიც დღეს არსებობს ორივე ქვეყნებს შორის; მესამე—ხელის შეწყობა, რადენადაც შესაძლებელია, მშვიდობიან და ნაკონფერ ურთიერთობისათვის მომავალში. პირველ ყოვლისა ბრიტანეთის დედაგადაცემა წარმოადგინოს განსახილველად რუსეთის ფონდების შემახველ ბრიტანელების და

ბრიტანეთის იმ მოქალაქეთა პრეტენზიები, რომელთაც ქონება ჩამოერთვით სახელმწიფოს მიერ ან რაიმე ზარალი მოუვიდათ რუსეთში მომხდარ ამბების გამო და სხვა.

„მე ვფიქრობ, განაცხადა მაკდონალდმა, რომ თქვენის მხრივაც აქნება წარმოდგენილი მრავალი პრეტენზიები და ორივე მხარემ სათანადო უპრადლება უნდა მიაქციოს მათ. მეორე რიგში მე ვაყენებ იმ ხელშეკრულებათა განხილვას, რომლებიც დასდეს თქვენმა წინამოადგილეებმა ბრიტანეთის მთავრობასთან. დღემდის არავითარი ნაბიჯი არ იყო გადადგმული იქითკენ, რაც დაავსებებდა ორივე ქვეყანას საერთაშორისო ვალდებულებათა სახით. ჩვენ აქ შევიკრიბეთ იმისათვის, რათა მოვაწესრიგოთ ყველა ეს ცოცხალი, მაგრამ მკვიდრად მიჩნეული ხელშეკრულებები—ჩამოერთვითარის ისინი, რომელთა მოსორება საჭიროა და განვიმტკიცოთ ისინი, რომელთა დაცვა აუცილებელია.

მესამე ადგილი უჭირავს კომერციული შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულებით შეცვლის საკითხს და იმ მზგავს ხელშეკრულებათა ჩვეულებრივ მუხლებს და მათგან მათი პუნქტების განხილვას, რომლებზეც უნდა აღმოფხვრან ის დაბრკოლებები, რომელთაც შესაძლებელია ადგილი ექნეს ჩვენი ეკონომიური ურთიერთობის განვითარების გზაზე, საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის კონტრტუციისა და მმართველობის და ჩვენს მთავრობას შორის არსებულ განსხვავებებსთან დაკავშირებით.

და ბოლოს, ბრიტანეთის მთავრობას სურს საესებით გულწრფელად იქნეს განხილული საკითხი პროპაგანდის შესახებ, არა იმ ინციდენტების განხილვაში შესვლის მიზნით, რომლებიც იყვნენ წინანდელ აზრთა გაცვლა-გამოცვლის საგანი (იმ ინციდენტების, რომელთა გამართლება შესაძლებელი იქნება მით, რომ ორთავე სახელმწიფო მაშინ ხანგრძლივ და აშკარა მტრობაში იმყოფებოდნენ, ერთი მეორესთან), არამედ იმის გამოარკვევის მიზნით—შეიძლება თუ არა ამ სახის დაბრკოლებათა აღმოფხვრა და თავიდან აცილება ორთავე სახელმწიფოს ახალ ურთიერთობის დროს. ჩვენ არ ვსვამთ საკითხს საბჭოთა კავშირის უფლების შესახებ—დაიცვას როგორც მმართველობის ფორმაც სურს, რომელიც წარმოდგენილი აქვს მის საუკეთესოდ, მაგრამ ჩვენ მოვითხოვთ, რომ პირველ პირობათ მეგობრულ და ნაყოფიერ ურთიერთობისა კავშირისა და ჩვენს შორის უნდა იყოს კავშირის მიერ იმ პოზიციის ცნობა, რომელსაც ვაღვივებთ ჩვენ და უარის თქმა იმის პირდაპირ ან არაპირდაპირ გავრძელებზე, რომელიც წააგავს პროპაგანდის წარმოების ცდას ინგლისის ხალხს შორის, როგორც თვით ინგლისში, ისე მის საზღვრების გარეშე ეს საკითხი უნდა განხილულ იქნეს გადაჭრით მაგრამ, მე იმედი მაქვს, მეგობრულ ნიადაგზე, და მწამს, რომ სწორეთ ამ ნიადაგზე იქნება ის გადაჭრილი.

შემდეგ მაკდონალდი შეეხო დაბრკოლებებს, რომლებიც მოსალოდნელია პირველსავე ნაბიჯების დროს. მან განაცხადა, რომ ის ლაპარაკობს, არა როგორც ინგლისის იმ პარტიის მეთაური, რომელიც გარკვევით და აშკარად მიიზნობა იურიდიულ ცნობას, არამედ აგრეთ-

ვე იმ მთავრობის მეთაურიც, რომელიც მზად არის გამოიჩინოს რუსეთისადმი ყოველმხრივი ყურადღება და როგორც წარმომადგენელს იმ ქვეყნისა, რომელსაც რუსეთის მომავლისადმი რწმენის განმტკიცებისათვის ხელის შეწყობით ყველაზე უფრო შეუძლია დაეხმაროს მას მის ეკონომიურ აღორძინებაში იმდენად, რამდენადაც ამას ის მოისურვებს.

შეგრდა რა რეგულირებაზე და მის მეთოდებზე, მაკდონალდმა განაცხადა: „მე ვსთხოვ რუსეთის დელეგატებს მსჯელობის დროს კარგად დაინახონ ის, რომ მათი სახელმწიფოებრივი მმართველობის მეთოდები არ ჰგვანან ბრიტანეთისას“.

შემდეგ მაკდონალდი სთხოვდა რუსეთის დელეგაციას დაინახონ, რომ შეთანხმებები უნდა ემყარებოდნენ საქმიანი ვაჭრობის ვიწრო სფეროს. კონფერენციის ჩაშლის შედეგი მეტად სერიოზულია თვითეული სახელმწიფოსათვის, რისთვისაც საჭიროა დიდი ყურადღების მიქცევა.

დასასრულ მაკდონალდმა განაცხადა: „თქვენ გსურთ ჩვენგან პოლიტიკური ცნობა და ფინანსური დახმარება, ჩვენ კი გვსურს თქვენგან კეთილი მეზობლობა და საერთაშორისო ვალდებულებათა ცნობა. ჩვენ გადავდგით პირველი ნაბიჯი და ეს ნაბიჯი იყო მნიშვნელოვანი. გადავდგათ ესხა ერთად მეორე ნაბიჯი და გაავმართლოთ იმ მრავალ მილიონების იმედები, რომლებიც დიდი მოლოდინით თვალყურს ადევნებენ ამ თათბირს“.

**აშხ. რაკოვსკის სიტყვა.**

თავის საპასუხო სიტყვაში აშხ. რაკოვსკიმ განაცხადა, რომ რუსეთის დელეგაციას ამოძრავებს გულწრფელი სურვილი სასურველად დასრულდეს კონფერენცია. დელეგატები ყოველ ძალღონეს იხმარენ ეკონომიურ დაბრკოლებათა თავიდან ასაცილებლად, რომელთა რიცხვში შედიან ისეთი საკითხები, როგორც საკითხები სამხედრო ვალდებულების და კერძო პირთა პრეტენზიების შესახებ. ბრიტანეთის მთავრობას შეუძლია იქონიოს იმედი დელეგაციის კეთილ სურვილებისა პოლიტიკურ საკითხების მიმართაც. აქ არ იქნება დაბრკოლება იმ საკითხების გადაჭრის დროს, რომლებიც ეგებიან ინგლისის და საბჭოთა კავშირის ინტერესებს აღმოსავლეთში, რამდენადაც ორივე მთავრობები გამოსავალ წერტილად მიიჩნევენ აღმოსავლეთის სახელმწიფოების დამოუკიდებლობისა და სუვერენობისადმი პატივისცემის პრინციპს. რუსეთის დელეგაცია ფიქრობს, რომ მოლაპარაკებას აქვს უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა, რადგან ეს არის მსოფლიოს ორ უდიდეს სახელმწიფოს ცდა არა მარტო ბოლო მოუღონ არსებულ გაუგებრობას მათ შორის, არამედ გამოარკვიონ პრობლემები, რომლებიც მართლაც ემუქრებიან საყოველთაო მშვიდობიანობას, რაც არის გამოსავალი პუნქტი საერთაშორისო ურთიერთობათა რადიკალურად შეცვლისათვის. განიარაღება გვესმის, როგორც ბრძანებელი ძალის საკითხი და საბჭოთა მთავრობა მზადაა გადადგას მომავალში გაბედული ნაბიჯები განიარაღებისაკენ სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობით არ იზიარებს რა ინგლისის შეხედულებას ერ-

თა ლიგაზე მისი დღევანდელი სახით, საბჭოთა მთავრობა მზად იქნება შეუერთდეს საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელშიაც შევლენ ყველა ხალხები თავისი ნებით და სრული თანასწორობის საფუძველებზე. განსხვავება ინგლისის და რუსეთის სოციალურ წესწყობილების შორის ზიანს არ მიაყენებს პოლიტიკურ და ეკონომიურ მათ თანამშრომლობას. საბჭოთა მთავრობა საესებით იზიარებს ბრიტანეთის მთავრობის თვალსაზრისს, რომ საჭიროა დაცულ იქნას ერთმანეთის შინაურ საქმეებში არჩარევის პრინციპი. იძლევა გარანტიას იმისას, რომ აღარ იქნება იმ სოციალურ წესწყობილების წინააღმდეგ გალაშქრების ცდა, რომელიც ორივე ხალხსა აირჩია“.



**აუხილავლოვას ვერ გაეჩხვი.**

ჩემს წინა წერილში მე აღვნიშე, რომ სოციალ-დემოკრატებმა, როგორც მუშათა კლასის პარტიამ განისვენა ბუნებრივი სიკვდილით. მან შეასრულა თავისი როლი და ჩაბარდა ისტორიას. მშრომელ კლასს შერჩა მხოლოდ ის პარტია, რომელიც მისი მუდმივი თანამგზავრი იყო ქირში და ლხინში. ეს პარტია კი იყო და არის ერთად ერთი პარტია, კომუნისტური პარტია, რომელიც შესდგება ძველი ბოლშევიკებისაგან. ვინ იყო მისი სულის ჩამდგმელი? ვინ ასაზრდოებდა ამ პარტიას? ვინ ხელმძღვანელობდა და ვინ გამოუცვალა ძველი სახელი და ვინ მონათლა ახალით ე. ი. კომუნისტურით ძველი მუშები, ბოლშევიკები? ლენინმა. იმ ლენინმა, რომელმაც თავის დღე-შეტევილი ენერგიით შექმნა მუშათა კლასის ისტორიაში უდიდესი აქტი მთელი მსოფლიო რევოლუციის: მან მოახდინა სასწაული, თუ შეიძლება ასე ითქვას, მუშათა ცხოვრებაში და მან გარდაქმნა ყოველი ძველი უვარგისი უკეთესი ახალით. ესხა დაუკვრლეთ ისტორიულ აუცილებლობას და სრულიათ მიუდგომლად ავღნიშნოთ ვველა ის წყეული კითხვები, რომელმაც გაყო ჩვენი პარტია ორ მოწინააღმდეგე ბანაკათ. ჯერ კიდევ 1903 წლის ლონდონის სიგზზე, სადაც მოხდა ფაქტური დასაბუთება საორგანიზაციო კითხვების, რომლის შესახებაც იქნა გამოტანილი ორი სხვადასხვა რეზოლიუცია, ნათლათ იყო ნაჩვენები თითეულ სადაო კითხვაზე გარკვეული პასუხი. შემდეგში კი ამას დაერთო ახალ-ახალი კითხვებიც, რომელიც ამ ორ ფრაქციას აშორებდა ერთმეორესაგან. მე აქ მოკლეთ მომყავს ცნობები გასახსენებლათ და მკითხველმა მიმართოს ისტორიულ დოკუმენტებს. 1903 წლის ბოლო რიცხვებში და 1904-ში აშხ. განსვენებული გიორგი თელია და აშხ. ბ. მდივანი ქუთაისის ციხეში ერთი მეორეს ეკამათებოდნენ ბოლშევიზმსა და მენშევიზმზე, როდესაც გაათავისუფლეს აშხ. გიორგი თელია და წაიკითხა სიგზის ორივე რეზოლიუცია ის ასე სწერდა ერთ თავის წერილში 1905 წელს. იხ. გაზეთ „დრო ბოლშევიზმისა“ შემდეგი სათაურით: „რათ გვეძახიან ბლანკისტებს“? მე როდესაც წავიკითხე ორივე რეზოლიუცია, მაშინ დაგრწმუნდი და ვამბობ,

რომ ვისაც უნდა დაიკვას პროლეტარიატის ინტერესები, უნდა იყოს ბოლშევიკი, აი ასე ამბობდა განსვენებული ამხ. გიორგი თელია 1908 წლის თავისუფლების ხანაში. ღრმა ჩაკვირებამ დაანახა მუშა გიორგის ისტორიული აუცილებლობა ნაკარნახევი დებულებები. შემდეგ, რაც დრო გადის, მით უფრო ყოველ წამოჭრილ კითხვებში წყველი მენშევიკში თავის მრავალ რიცხოვნობით გადიოდა ფონს და ამით აფერხებდა ძლევამოსილ რევოლუციის მსვლელობას, თუგინდ მის და უნებურათ. მე არ მინდა უწმინდო სიტყვით მოვიხსენიო ჩვენი წარსული მუშაობა და არც ვიზამ მავას, მაგრამ თუ ვიხმარე სიტყვა წყველი მენშევიკში, ეს იმიტომ, რომ ამხ. მიხა ცხაკაიას, ტერმინია რაც მან გაბედულად უწოდა ყოფილ მენშევიკთა სალიკვიდაციო ყრილობაზე მენშევიკებს და რომ დაუკვირდები მართლაც რომ წყველია მენშევიკში და არა მენშევიკები, რომლებიც უკვე ემშვიდობებიან ისტორიული აუცილებლობით განწირულ შეხედულებებს. კაცობრიობის ისტორიაში ბევრი რამ ხდება ჩვენივის არაჩვეულებრივი, მაგრამ აუცილებელი. ჰოდა მოხდა უდიდესი აქტი მუშათა ცხოვრებაში, მოხდა ჩამოგდება საერთაშორისო კანდარმერისა, დამარცხება ძველი რეჟიმისა, რომელიც აშინებდა მსოფლიო პროლეტარიატს, გაიხსენეთ ახლო წარსული სპარსეთში სათარხანის დრო და ლიხთვის ნავაიკა. რამდენი ჩვენი აქაური ამხანაგები იმსხვერპლა სპარსეთის რევოლუციამ: ამხ. ჯიქიძე და სხვები.

1917 წლის რევოლუციის პროლეტარიატმა მოახდინა ე. წ. სასწაული, ძლევამოსილმა პროლეტარიატმა გადმოაგდო ტახტიდან ნიკოლოზის რეჟიმი, რომელიც სულს უხუთავდა მშრომელ ხალხს. ეხლა კითხვა ისმება. აი-ღოს თუ არა პროლეტარიატმა ძალა უფლება ხელში? აი, ეს კითხვა შეიქნა უმთავრესი, რომელმაც საბოლოოთ გამოარკვია და ჩამოაყალიბა ზემოდ დასახელებული ფრაქციები პარტიებათ. ამხ. ბოლშევიკები კომუნისტებთან და მენშევიკები კი სოციალ-დემოკრატებთან. ბოლშევიკებმა ამხ. ილიჩის სახით ააფრიალეს პროლეტარიატის დიქტატურის დროა, სოც. დემოკრატებმა სხვა კლასიურათ მოწინააღმდეგე პარტიებთან ერთად ააფრიალეს დემოკრატიული დროა ნაციონალურ ფერემატარულით. აქედან იწყება ამ ორ პარტიის დიამეტრალური წინააღმდეგობა. ურთი ერთ შორის და მიდის ხელ ჩართულ ბრძოლაში. მე გპკვრით შეგებე წინა წერილში აღმშენებლობითი მხარეს ორივე მებრძოლი პარტიისას, ეხლა მინდა მკითხველებს გაუზიარო თურა ვააკეთა კომუნისტურმა პარტიამ საშინაო საგარეო პოლიტიკაში. ჯერ მან ძირბუდიანათ აღმოფხვრა. შინაური კონტრ-რევოლუციონური პარტიები, რომლებიც შეკავშირებული, შეხმტკბილებული გამოდიოდენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელიც ემუქრებოდა რევოლუციის ყოველივე მონაპოვარს.—შინაური ნაციონალური შუღლი (სომეხ-თათარი) მოისპო და დღეს ეს ერები ხელჩაკიდებული ძმური სიყვარულით განაგრძობენ მუშაობას და სხვა მრავალი. შემდეგ, საგარეო პოლიტიკაში: საბჭოთა ხელისუფლება თავის საკავშირო ცენტ-

რით გაურბის რა კაცობრიობის დამოუკიდებელ ომიანობას, რაც შესაძლებელია მიდის დიდ და დიდ კომპრომისზე. გაიხსენეთ ინგლის-ფინეთ-პოლონეთის და მათ მიერ გადადგმული ნაბიჯები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მათ სურდათ ჩაერთათ გამანადგურებელ იმპერიალისტურ ომში, მაგრამ მუშათა მთავრობამ აქ დაამტკიცა მუშათა ინტერესების დაცვა, რომ გადმოსროლილი ხელთათმანები მათვე წააღებინა უკან, ამასთანავე საქართველოში მუდმივი ომი

სომეხსა და ქართველს შორის—ადრბეიჯანს და საქართველოს და სომხეთ შორის შოისპო და ჩვენი ახალგაზრდობა, რომელიც მუდამ შიშში იყო მენშევიკურ მთავრობის დროს, დღეს მშვიდათ ცხოვრობს, მამასადამე მშვიდობიანობაა. მამ გაუმარჯოს საერთაშორისო მშვიდობიანობას, გაუმარჯოს მუშა-გლეხთა და ჯარისკაცთა მთავრობას და მის ამრჩეულებს.

სეგ. ხვიჩია.



# მუშათა წერილები

## მუშები ერთად ვართ.

ავილოთ და გადავხინჯოთ ყოფილი მენშევიკების რიგები 25 აგვისტოდან. ვისენახავთ იქ. აქ ჩვენ ვნახავთ ყველა მოწინავე მუშებს და გლეხებს ათასობით და ათათასობით, რომლებმაც ს. ს. დ. მ. პ. ყრილობაზე 25 აგვისტოს 1923 წელს გადააფასეს თავიანთი წარსული, იცვენეს ის მიუღებლათ და დაადგენ ახალ გზაზე მე-III კომინტერნის დროის ქვეშ. 17 ათასი მუშა და გლეხი თავისი მეტაურებით, რომლებსაც ისინი ირჩევდენ რამოდენიმე წლების განმავლობაში. მთლიანთ გადამოვიდენ ამ მუშათა მთლიან ფრონტის მხარეზე მე-III-მე კომინტერნის ხელმძღვანელობით, თუ მხედრობაში არ მივიღებთ სეით დევიდარიანს, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ მოუნახავს სწორი გზა, თუმცა ს. დ. პარტიას სამუდამით გამოეფხოვა. ვის ნახავთ აქ, ამ ჩვენ რიგებში დღეს. აქ არიან ყველა პროკავშირების ხელმძღვანელების ხელმძღვანელები თავიანთი ჯარით. აქ ნახავთ ყველა იმით, ვინც მენშევიკების დროს დიდ როლს თამაშობდენ და მშრომელი მასების ნილობით იყენენ აღჭურვილნი, რომელთაც მუშურმა სინდისმა და რევოლუციონურმა ვალმა გვიკარნახა დაემდგარეიყავით ახალ გზაზე, ავილოთ თუ რომელი პროკავშირების მეტაურები ჩამოშორდენ მენშევიკებს და დაადგენ ახალ გზას თბილისში: თამბაქოს კავშირის თავმჯდომარე და გამგეობის წევრები:

- 1—ერზუკიანიც 2. მემბრნიშვილი 3, თევზაძე და სხვები.
- მელითონეების კავშირის თავმჯდომარე. 1, შუბაშვილი, 2 ახალბედაშვილი 3, ოქრო ლაცაბიძე (მდივანი), ავადკოვი და სხვები.
- გამგეობის წევრები, 1, ახატინი ჰაიკი, 2, ბუაძე, იობაშვილიც დღეს ჩვენ გვემხრობა.
- სურსათის კავშირის მდივანი ფანცხავა, თავმჯდომარე ამაშუკელი და სხვები.
- საავადმყოფოს მოსამსახურეების კავშირის თავმჯდომარე და მდივანი გონჩაროვი და ეფიმიოვა აგრეთვე ყველა გამგეობის წევრები.
- სახელმწიფოს ახალ მოსამსახურეების კავშირის თავმჯდომარე თავდგირიძე და მდივანი აგრეთვე ყველა გამგეობის წევრები. ქალაქის თვითმმართველობის მოსამსახურეთა კავშირის თავმჯდომარე ა. რუხაძე, მდივნი აკაკი თათარნიშვილი, ამხ. ქუჩულორაია, აღმასკომის და პრეზიდიუმის წევრი კ. თოფაძე, ვასაძე, მაჩაიძე, გოგინაშვილი და სხვები.

მკერვალთა კავშირის თავმჯდომარე ცხე-დაძე, ოგანოვი, ლაფაჩი და სხვები.

კაფერესტორანებში მომუშავეთა კავშირის თავმჯდომარე ამხ. ბიბილიევილი და მდივანი კალენიკე გოგობერიძე, აგრეთვე ბევრი გამგეობის წევრები.

სახლებში მომუშავეთა კავშირის თავმჯდომარე და მდივანი ამხ. თოფაძე—და ვაბრიელენკოვისა.

აღმშენებლობის კავშირის მდივანი კაზაროვი—და სხვები.

მბეჭდათა კავშირის თავმჯდომარე მანასე გოგუაძე, ნათალიშვილი, ელიაძე, კაიდახჩიანი და სხვა ბევრი.

სავაჭრო-სამრეწველო პროფ-კავშირის მდივანი მოეშენიანი, ატოვი, გამგეობის წევრები: პ. კავკასიძე, სვანიძე და სხვა ბევრი.

ქალაქის დამხმევე კასის თავმჯდომარე ამხ.—კაიდაძეანი.

საკრედიტო დაწესებულებების კავშირის თავმჯდომარე საფაროვი და სხვანი.

რკინის გზელების კავშირის თავმჯდომარე—ბერევიანი, გამგეობის წევრები სიხარულიძე და სხვები.

მებაღეების კავშირის მდივანი ამხ. მაჩაიძე და გამგეობის წევრები. პარკმხებრების კავშირიდან ამხ. ვასო სუხიშვილი.

თბილისის პროფ-კავშირების საბჭოს სექრეტარიატის წევრები: თოფაძე, ვაბრიელენკოვისა, საფაროვი, ელიაძე, პ. კავკასიძე, ავადკოვი და ლაცაბიძე.

ყველა ზევით ჩამოთვლილი ამხანაგები დღეს ჩამოშორდა მენშევიკებს და დაადგა კომინტერნის გზას. ბევრი ზევით ჩამოთვლილი ამხანაგები: თოფაძე, ბერევიანი, კავკასიძე და სხვები იყენენ საქართველოს პროფ კავშირების აღმასკომის წევრები, სეით დევიდარიანი კი თავმჯდომარე იყო. დღეს ყველამ მიატოვა მენშევიკების პარტია, მათ შორის საქართველოს პროფკავშირების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. სეით დევიდარიანმაც. ამის შემდეგ, როცა მთელი პროლემოდრომის მეტაურები საქართველოში ჩამოშორდენ თავიანთი ამრჩეული მუშებთან მენშევიკებსა. მათ არა აქვთ უფლება მუშების სახელით ილაპარაკონ, ეხლა მიანიც დაინახონ, რომ მათ რიგებში აღარაიან დარჩა, გარდა კონტრ-რევოლუციონერებისა.

მუშა.

### მემუხრუშეთა ცხომრამიდან.

თუ ვინმეს გავიგონიათ ეს კაცი უბედურ ვარსკვლავზეა ვაჩენილიო, ეს ითქმის სწორედ მემუხრუშეებზე. ჩვენი რკინის გზის მემუხრუშეთა ცხოვრება პირდაპირ აუტანელია. ჯერ ერთი, რომ ამ ცივე ზამთარში, როდესაც თოვს, წვიმს და სეტყვა პირდაპირ ცხვირ პირში ცემს, მას არა აქვს არავითარი სავანებო ტანისამოსი, ამასთანავე არ არის ამოდენა ჩი ბაჭინან საბარგო მატარებელზე არსად თავსებადარი. დანიშნულ ადგილზე მისვლამდე არაფერი არ მიგვეყვება მშრალი. წარსულ თვეში დავერიდგეს ე. წ. საწვიმრები და ყველა ვერც იმას ელოდა, ამასთანავე მებარგე მემუხრუშეებს დაუბრუნეს საზამთრო პალტოები მაშინ, როდესაც ზამთარზე სული დალია უკვე დღეს ყველასათვის ცხადია არც ერთი მემუხრუშე არ იკადრებს, რომ ისე მოიქცეს, როგორც ამას ქონდა ალავი ნიკოლოზის მთავრობის დროს. მაგალითად, როგორც არის უბედურთათ წყევანა მგზავრების და ამის ბოროტათ გამოყენება. მაშასადამე თუ კი მოსამსახურე პატიოსნათ ასრულებს თავის მოვალეობას, მას უნდა ქონდეს ყურადღებაც მიქცეული, რამდენადაც შესაძლებელია დღევანდელ პირობებში, რა თქმა უნდა, პირველათ დავასახელოთ ჯამაგირების მინიმუმი. უმც. კონსტრუქტორები ვლგებულობთ თვეში ჯამაგირს 22-50-ათ შაურს. ამის გარდა არის კიდევ ე. წ. ვერსების ფული, რომელსაც ვლგებულობდით წინეთ. სამწუხაროთ თუ წინეთ ვიცოდით რა გვეძლეოდა და როდის მივიღებდით ამას, ეხლა არც ის ვიცით რამდენს გვაძლევდნ და რამდენი გვერგება. ხმები და რადიო ქორები ბევრია, ზოგი მოგვითხრობს ცხრამეტი მანეთია ყოველ 1000 ვერსზეო, ზოგი, ხუთმეტ მანეთს ასახელებს და ზოგიც ნაკლებსაც ამბობს. მაგრამ სასწუხაროთ ამ ასულმა ინფორმაციამ ნერვოზობა თუ შეიტანა მემუხრუშეთა დარგში, თორემ მეტი არაფერი. საქირაო ამას მოეღოს ბოლო გარკვეული პასუხით, ვისიც ჯერ არს. მხოლოდ აქვე მინდა აღვნიშნო ჩემი შეხედულება ამ უკანასკნელ კითხვაზე. ე. ი. ვერსების საფასურზე. და თუ მაინც და მაინც რაიმე აღმინისტრატული მოსაზრებით ეს აუცილებელია, მაშინ უნდა ვეცადოთ თანასწორ ფასიანობის დაცვას ვერსების საფასურის განაწილებაში, მიუხედავათ უფროს-უმცროს მემუხრუშეებისა. მე ვფიქრობ, არაა საჭირო დღეს რომელიმე ჩვენ დარგში მოსამსახურე წაევაქვზოთ სამუშაოზე. რადგან სათანადო ორგანიზაციებიდან განკარგულება არის დაეცოთ 8 საათის სამუშაო დღე, რომლითაც გვაეალებენ თვეში 140 საათის შესრულებას. მაშასადამე აქ სულ ერთია მე რამდენი ვერსს გავაყეთებ. ოღონდ კი შევესრულო პირნათლათ სავალდებულო საათები. და თუ ამას რამე მოსაზრებით მაინც დაუშვებენ, იმ შემთხვევაში ჩემის აზრით უნდა იყოს დაცული ერთ ფასიანობა რამდენსაც დააწესებს საიმიო ორგანიზაცია და ეს უნდა რამდენადღეს თავის დროზე. აქვეა აღსანიშნავი შემდეგი გარემოება: ზემო დასახლებულ უბედურ მოსამსახურეთა დარგში არიან კიდევ უბედურზე უბედურები. ესენი არიან ე. წ. დღეობი კონსტრუქტორები, რომლებიც მთლიან

მივიწყებულია, მათ როცა უნდათ მიშინ დაიბოვონ და ვერც მიიღებს ვერავითარ დახმარებას ლოკალიტის სახით, იქნება ისეთ დროს დაითხოვონ, რომ ის ორ წყალ შუა მოექცეს. ნაკლებადანობა სხვაეც ბევრია. საქირაო პროფკავშირშიც ამას მიაქციოს ყურადღება.

უჩინარი.

### ლენინიზმის შემსწავლელი წამების შესახებ.

ჩვენი ჟურნალის წინა ნომერში მკითხველი იპოვიდა წერილს თბილისში ჩვენ ამხანაგ მოწინავე მუშებისაგან შემდგარ ლენინიზმის შემსწავლელ წრის შესახებ. სრულიად სამართლიანათ აღნიშნავს წერილის ავტორი, რომ ჩვენთვის, ყოფილ მენშევიკებისათვის, განსაკუთრებით არის საინტერესო და საჭირო შესწავლა იმ გზისა, იმ ტაქტიკის, ბრძოლის იმ მეთოდების, რომლითაც კომუნისტური პარტია იბრძოდა და დღესაც იბრძვის. ხოლო კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი და მესაქე იყო ამხ. ლენინი. ლენინი ჩაუდგა სათავეში რევოლუციონურ

პროლეტარიატს, ლენინის პარტიამ გამოიწვია ბრძოლაში მთელი კაპიტალისტური, დახვედებული საშუარო. გამოუცხადა დაუნდობელი ბრძოლა ყველა ჯურის შემთანხმებლებს და და ცრუ სოციალისტებს. ლენინის ბრძოლის ისტორია არის კომუნისტური პარტიის ბრძოლის ისტორია.

ამიტომ გვმართებს ლენინიზმის შესწავლა. თუ ჩვენ გვინდა ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ კომპარტიის მთელ განვლილ გზის შესახებ, თუ ჩვენ გვინდა მომავალში გვერდში ამოუდგეთ რევოლუციონურ პროლეტარიატს ბრძოლაში, ჩვენ უნდა შევისწავლოთ ის გზა, რომლითაც იბრძოდა ლენინი, რომლითაც იბრძოდა კომპარტია.

ჩვენ უნდა შევისწავლოთ ლენინიზმი. ჩვენ მოუწოდებთ ამხანაგებს. განსაკუთრებით პროვინციაში დაარსონ ლენინიზმის შესასწავლათ წრეები.

მამ შევისწავლოთ ლენინიზმი. ეს არის ჩვენი აუცილებელი ამოცანა.

თბილისის მუშებს უნდა სხებებაც მიპაძონ.

მუშა ბ.

## პოლიტიკური მიმოხილვა

(კვირიდან-კვირამდე).

\* \* \*

ინგლის-საბჭოთა კავშირის კონფერენცია უკვე დაიწყო. მას იმ ცნობების მიხედვით, რომელიც დღეს ჩვენ მოგვეპოვება, კარგი პირი უჩანს, თუმცა უნდა ითქვას, რომ ინგლისის მთავრობა, რომელსაც ჩუშათა მთავრობის სახელი ამშვენებს, ბევრს ლაპარაკობს თავიდანვე კერძო პირთა ვალების და ჩამორთმეული ქონების უკან დაბრუნებაზე.

კონფერენციამდე ათი დღის წინეთ მაკდონალდს ინგლისის ბანკირებმა გადასცეს შემდეგი მემორანდუმი.

გამოქვეყნებულია ბრიტანელ ბანკირების მემორანდუმი, რომელიც წარედგინა მაკდონალდს 10 დღის წინად საბჭოთა კავშირი, სათვის კრედიტის განახლების პირობების შესახებ.

1. ორივე ქვეყანამ უნდა იცნონ სახელმწიფოებრივი და კერძო ვალები.

2. ორივე მხარემ უნდა მიაღწიოს შეთანხმებას უცხოელების კერძო საკუთრების რესტრუქციის (აღდგენის) შესახებ.

3. საბჭოთა კავშირში უნდა მოქმედებდეს ნორმალური სამოქალაქო კოდექსი, მოეწყოს დამოუკიდებელი სასამართლოები. მტკიცეთ იქნას დაცული კერძო ხელშეკრულობათა ხელშეუხებლობა.

4. სამშოთა მთავრობამ უნდა მისცეს სათანადო გარანტიები იმისა, რომ მომავალში კერძო საკუთრებას აღარ მოეღოს კონფისკაცია სახელმწიფოს მხრივ.

5. ინგლისის ბანკირებს, მოეწყველებს და ვაჭრებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა მთავრობის ჩარევისაგან სრულიად დამოუკიდებ-

ლად მოახდინონ გარიგებანი ანალოგიურ კერძო დაწესებულებებთან საბჭოთა კავშირში, რომელ დაწესებულებებსაც ხელმძღვანელობენ ისეთი პირები, რომელთაც ისინი იცნობენ და რომელთა რეპუტაციას, სიტყვას და საშვალელებს ენდობან.

6. საბჭოთა მთავრობამ უარი უნდა სთქვას პროპაგანდაზე სხვა ქვეყნების წინააღმდეგ, განსაკუთრებით იმ ქვეყნების, სადაც ფიქრობს ფინანსიურ დახმარების მიღებას.

ჯერ-ჯერობით მიღებულ ცნობებით არ შეიძლება რაიმე გარკვეულის თქმა იმის შესახებ, თუ რამდენად დაიცავს ინგლისის „მუშათა“ მთავრობა ბანკირების ამ მოთხოვნებს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქამად მაკდონალდის მთავრობის მდგომარეობა საშინელია. თუ ბურჟუაზიის ორივე ფრთის ინტერესები დაიცვა, მაშინ მუშათა კლასში ჰკარგავს ნდობას, ამ ორ ცეცხლ შუაა დღეს მოქცეული ღვთის მორწმუნე მაკდონალდი, ვნახათ სანამ გაატანს ლავროვანიეს პოლიტიკით.

\* \* \*

ინგლისის მუშათა კლასის დიდი ნაწილი წინააღმდეგია ბანკირების მოთხოვნის და საბჭოთა კავშირის მხარეზე თავისი სიმპატიით.

ხუთმა თვალსაჩინო მუშათა ლიდერმა, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ საზოგადოებაში „ხელები შორს რუსეთიდან“, — ტრედ-უნინონების გენერალურ საბჭოს თავმჯდომარემ პერსელმა, ტერორჩერმა, უოხენმა, ლანსბერმ და რობერტ ვილიანსმა გამოაქვეყნეს მანიფესტი, რომელიც წარმოადგენს პა-

სუხს ინგლისის ბანკირების მემორანდუმზე. მანიფესტი აფასებს მემორანდუმს, როგორც თავებულურ ცდას მოახდინონ გავლენა ინგლისის მთავრობის პოზიციაზე საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების დროს. მანიფესტში ნათქვამია: „ლონდონელი ბანკირები ცდილობენ ეკონომიური ჩარევის გზით უკარნახონ რუსეთის ხალხს მათთვის სასურველი ეკონომიური წყობილება, რაც არ მოხერხდა სამხედრო ჩარევის საშუალებით. ლონდონელი ბანკირები პასუხისმგებელი არიან ამ გაუმართლებელი ჩარევისათვის შინაურ ცხოვრებაში, ისინი პასუხისმგებელი არიან აგრეთვე იმ სამრეწველო კრიზისის გამო, რომელიც დაიწყო 1920 წ. და ფართე ხასიათი მიიღო.“

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ინგლისის პირველ ოფიციალურ ანტირევოლუციურ დღევანდელადაც ერთად ვიმყოფებოდით საბჭოთა კავშირში 1920 წელს და შეგიძლია დავადასტუროთ; რომ საბჭოთა კავშირის პრეტენზიები ბრიტანეთის მთავრობის მიმართ ისევე სამართლიანია, როგორც ინგლისის და სხვა კაპიტალისტების პრეტენზიები საბჭოთა მიმართ. ჩვენ საკუთარს თვლით ვნახეთ, რომ რკინის გზის ხაზები, ხიდები, მაღაროები, ფაბრიკები და დათესილი მიწები მიტოვებული და განადგურებული იქნა ჩიხოსლაკის კონტრა-რევოლუციონერების, კოლჩაკის, ვრანგლის, დენიკინის და იუდენიჩის კონტრა-რევოლუციონერი არმიების ყაჩაღური გასაძირების შემდეგ. ამ ექსპედიციების მოწყობაში მონაწილეობას იღებდა ინგლისის მთავრობა 1919 წ. და 1920 წლის პირველ ნახევარში. სიკვდილი და განადგურება, რომელიც მოყვა 1921 წ. სიმშვილას, შეიძინა იყო ინგლისის მთავრობის მოქმედების, რომელიც ეხმარებოდა კონტრა-რევოლუციონერებს, რამაც გამოიწვია ტრანსპორტისა და საბჭოთა კავშირის მეურნეობის დანგრევა.

რომ ტრანსპორტი ყოფილიყო, დამშეულ რაიონებს თავის დროზე მიაწვდიდნენ სურსათ-სანაოვანებს.

სიმშვილბის შედეგზე სერიოზული გავლენა მოახდინა აგრეთვე ბლოკადამ,—ინგლისის ფლოტი ხელს უშლიდა საბჭოთა კავშირისათვის მიდკამერების და სხვა მასალების მიწოდებას, რომ საჭირო საეკონომიკურ მასალებს მათ რაოდენობით ჰქონებოდათ საბჭოთა კავშირში, მაშინ ხელს შეუშლიდნენ ტიფის ეპიდემიისა და სხვა ავთომყოფობათა გავრცელებას.

1920—21 წლებში მრავალი მილიონი ხალხი გაიწვიეს წითელ არმიას კონტრა-რევოლუციონერი არმიების წინააღმდეგ საბრძოლველად. ნაკვალა თმისა, ამ ხალხის გაყოფილება შეიძლებოდა საბჭოთა კავშირის ეკონომიური მდგომარეობის აღსადგენათ.“

1920 წლის ამბავს ეყრდნობიან ეს ჩვენი მეგობრები. რამდენათ უფრო მეგობრული დამტკიცე იქნებოდა მათი ხმა, რომ ისინი იცნობდნენ დღევანდელ საბჭოთა მეურნეობას, წესრიგს, ტრანსპორტს. 1920—21 წელში სამოქალაქო ომის ალი არ იყო კიდევ ჩაქრობილი, მას შემდეგ სახელმწიფოებრივ ცხოვრების ყოველ დარგში დიდი ცვლილებებია.

მართალს წერდა გაზეთი „ზარია ვოსტოკა“, რომ ამ 5 პირის განცხადება საბჭოთა გაზეთიდან ამოღებული ცნობა გეგონება.

საინტერესოა მოვიყვანოთ პრესის აზრი კონფერენციის გახსნის შესახებ.

საზოგადოებრივი აზრი დაინტერესებულია ინგლისის და საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებით და ფიქრობს, რომ ძნელი იქნება შეთანხმების მიღწევა.

„ეურნალის“ ლონდონის კორესპონდენტი აცხადებს, რომ საფრანგეთი უფლებას ვალდების საკითხში დაიცავს ინგლისის მთავრობა.

ბურჟუაზიული პრესა ფიქრობს, რომ მოსკოვს სურს გააჭიანუროს მოლაპარაკება ლონდონში და ხაზს უსვამს, რომ საბჭოთა კავშირი არ არის დაინტერესებული ვიებოროკოს თავი ინგლისთან ხელშეკრულებით, რადგან მოელის იქ კომუნისტურ პროპაგანდის გაძლიერებას.

„ეკონომიკის“ ამტკიცებს, რომ მოსკოვი გამოდის გერმანიასთან ერთად, რომელიც აგრეთვე გააჭიანურებს ექსპერტთა კომისიის მოხსენების განხილვას. ერბერტი სურს „ტანში“, რომ ინგლისელ ბანკირების მიერ წარდგენილი პირობები, მოსაწავებენ ვაჭრობის თავისუფლების აღდგენას და კომუნისტურ პრინციპების სრულ უარყოფას. საბჭოთა კავშირთან ხელსაყრელი სავაჭრო ურთიერთობა შეიძლება განახლდეს ასეთ ცვლილებების გარეშე. მაგრამ მაშინ საბჭოთა კავშირი არ იქნება ხელსაყრელი ქვეყანა ბრიტანელ მრეწველობისათვის. საბჭოთა კავშირის აღორძინება იქნებოდა ეკონომიურ და პოლიტიკურ კონკურენციის აღორძინება რაც ინგლისელ მრეწველებს სურთ.

როგორც მკითხველებმა იციან ვინის კონფერენცია ჩაიშალა. ეს მოხდა უმთავრესად საფრანგეთის იმპერიალისტების კარნახით. რუმინეთი თავის თავად პატიარა სახელმწიფოა და ვერ გაუშლავდება საბჭოთა კავშირს. მისი პრემიერი შეშინებული მაშინათვე გაიქცა თავის ბატონთან—პუანკარესთან. მას თვითონ ეშინია თავისი მრუდე საქმეების და ცდილობს მოკავშირეების შოვნას უარესი პირობებისათვის.

ფიქრობენ, რომ საფრანგეთი და რუმინეთი შეკრავენ სამხედრო კავშირსო. ეს იქნება მიმართული საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგოდ. ამავე დროს იაპონიასთან შეკრა რუმინეთმა სამხედრო კავშირი. აი როგორ გადმოგვცა ეს ცნობა რადიომ:

„კლენდო ეიტუნგის“-ის ცნობებით, იაპონიამ და რუმინეთმა ხელი მოაწერეს საკავშირო ხელშეკრულებას; ამ ხელშეკრულების ძალით ორივე ეს სახელმწიფოები ვალდებული არიან დაეხმარონ ერთმანეთს იმ შემთხვევაში, თუ მოხდება სამხედრო გამოსვლა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ

ასეთი ბტრული განწყობილების მთესავი და მასულდგმულმდელი პუანკარე პარლამენტში სულ სხვა ენით ლაპარაკობს. კაცს ეგონება, რომ ის მალე იცნობს საბჭოთა კავშირსო, აი

რას ამბობს თვით ფრანგი დეპუტატი დემონში:

საბჭოთა პრესის კორესპონდენტთან რეპორტთან საუბრის დროს დემონშიმ აღნიშნა, რომ პუანკარეს მიერ სენატში გაკეთებულ განცხადებაში სჩანს შეშინებელი კილო, რომლითაც უნდა ისარგებლოს საბჭოთა დიპლომატიამო.

საბჭოთა კავშირის ცნობის მხრივ წარსულ კვირაში მხოლოდ ჰოლანდიის მკათოდ გამოთქმული სურვილი საბჭოთა კავშირის ცნობისა შეიძლება დავასახელოთ.

24 აპრილს ბერლინში ჩავა ჰოლანდიის მთავრობის დელეგაცია, რომელიც განახლებს მოლაპარაკებას საბჭოთა კავშირის სრულყოფილებიან წარმომადგენელთან ამხ. კრესტინსკისთან ნორმალურ ურთიერთობათა აღდგენის შესახებ ორივე სახელმწიფოებს შორის.

იტყობინებიან, რომ ჰოლანდიის დელეგაციას აქვს საკმაო რწმუნებები იმისთვის, რომ საბოლოოდ გადაწყვიტოს საკითხი საბჭოთა კავშირის იურიდიული ცნობის შესახებ.

ჩინეთის მთავრობამაც, როგორც იქნა, პროტესტი განაცხადა მის შინაურ საქმეებში საფრანგეთის ჩარევის გამო. მოსალოდნელია ჩინეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხი დიდათაა დამოკიდებული იმ შედეგებზე, რომელიც ექნება ინგლისის—საბჭოთა კავშირის კონფერენციას.

# ქ რ თ ნ ი კ ა

◆ **მთავრობამ** უკვე გამოსცა სავალდებულო დადგენილება ბონის გამოსაყიდი კურსის შესახებ. ასეთ მტკიცე კურსად აღიარებულია 12,500.000.000 მ. ერთ კურსს პანეთზე. ანუ ჩერვონეცი ლირს ბონეებით 125 მილიარდი. ბონები ტრიალში მაინც დარჩება 15 ივნისამდე, როგორც ხურდა ფული.

◆ **გამოცხადდა** პურზე, ნავთზე, შაქარზე და მარლიზე მტკიცე ფასები. 15 აპრილსავე ბაზარმა ეს ფასები მიიღო და ფასები დაუწვია.

◆ **ფასების** დაკლება გრძელდება სხვა საქონელზედაც. მაგ, ზოგიერთმა კერძო სავაჭროებმა თვითონ დაწიეს 10—15 პროცენტით საქონლის ფასები. ხოლო კომპერატეებში ყველაფერს უკლებენ ფასებს.

◆ **ხურდა** ფულის ნაკლებობა თითქმის არარის. თუმცა უნდა ითქვას, რომ ახლა ხალხი ბონებს ეპოტინება—ჭკონიათ, რომ ხურდა ფულის კრიზისი იქნება. შრომის შეშინებელი კასები გაცხოველდულ ოპერაციებს აწარმოებენ.

◆ **ხორც** საშინლად ძვირი იყო. უკანასკნელ ხანებში გირვანქა იყიდებოდა 50 ქ. და კიდევ მეტათაც. 16 აპრილიდან ყველგან იზოვიტო საუკეთესო ხორცს გირა—30 კაპ.

◆ **ამხ. ტროცკი** უკვე გაემგზავრა მოსკოვში. ამბობენ ის საქართველოთი ძალიან კმაყოფილი დარჩაო.

◆ **21 აპრილს** ორშაბათს სასახლის წითელ დარბაზში გაიხსნება ქ. თფილისის კო-

მუნისტური პარტიის ორგანიზაციების (საქალაქო და სასაზოო) კონფერენცია, ბოლო 5 მაისს შესდგება სრულიად საქართველოს კომუნისტური პარტიის ორგანიზაციების ყრილობა.

← **წერაკითხვის** უკოდინარობის მოსასპობად საქართველოს სახალხო კომისართა სამუშაო ვადისწყვეტა ამ თავითვე მილოს გადაწყვეტილი ზომები, რომ საქართველოს გასაბჭოების დან მე-10-ე წლის ბოლოსთვის მთელ რესპუბლიკაში მოსპობილ იქნას წერაკითხვის უკოდინარობა.

← **ამ დღეებში** გაიმართა თფილისის მუშაკორების კონფერენცია, რომელზედაც მოხსენებები გააკეთეს: ანხ. ს. ორჯინიკიძემ — საერთაშორისო მდგომარეობაზე, მ. ორახელაშვილმა ფულის რეფორმაზე, ვარძიელმა პროკურატურა და პრესის შესახებ.

**სხვა და სხვა ამბები:**

← **ინგლის-საბჭოთა** კავშირის კონფერენცია უკვე გაიხსნა. დელეგაციის ერთმანეთთან შეხვედრა მეგობრული იყო. კონფერენციაზე ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა მაკდონალდმა, მის უპასუხა ანხ. რაკოვსკიმ.

← **გამოქვეყნდა** ინგლისის ბანკირების მოთხოვნა კონფერენციასადმი. ეს მოთხოვნა შეიცავს ძველ სიმღერას კერძო პირთა ზარალის და ვალის ანაზღაურების შესახებ.

← **რუმინეთმა და იაპონიამ** დასდევს ერთ მანეთან სამხედრო კავშირი საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგოდ.

← **საფრანგეთი** აპრობს რუმინეთთან სამხედრო კავშირის დადებას. რუმინეთის პრემიერ პარისში ნადომი გაუმართა პუანკარემ. ეს იყო ერთგვარი დემონსტრაცია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

← **ჰოლანდია** ეშხადება საბჭოთა კავშირის იურიდიული ცნობისათვის. 24 აპრილს ბერლინში უნდა ჩაედინს ჰოლანდიის დელეგაცია საბჭოთა წარმომადგენელ — კრესტინსკისთან მოსალაპარაკებლად იურიდიულად ცნობის შესახებ.

← **ინგლისში** მუშათა პარტიის 5 ბელადმა გამოქვეყნა მანიფესტი ბანკირების მოთხოვნების წინააღმდეგ. ისინი მოითხოვენ ამ მოთხოვნების უკან წაღებას და ხელშეკრულების დადებას უამისოდ.

← **გერმანიაში** გავიცივის ტალღა არ დამცხრალა. ის თანდათან ფართოვდება და უფრო მეტ რაიონებს ედება. ერთსულოვნად გაფიცულნი არიან სტამბის მუშებიც. ტრამვაის და ომნიბუსების მოსამსახურენი მოითხოვენ ხელფასის მომატებას 50 პენსიით ლანდაუს მელითონეთა ქარხნის მუშებმა გამოაცხადეს ნაწილობრივი გაფიცვა, მოითხოვენ ხელფასის მომატებას, ამის გამო მწარმოებლებმა დაითხოვეს 7,000 მუშა.

← **საფრანგეთის** გაზეთები აღნიშნავენ, რომ პუანკარეს უქანასწრელი სიტყვა პარლამენტში წინააღმდეგ პარტიის შეცვლის საბჭოთა კავშირის მიმართ;

← **ბულგარეთის** მთავრობამ გაასამართლა ყოფილი მთავრობის წევრები. სასამართლო „კეთილ სურვილების და გრძობის“ ნიადაგზე ისინი გაამართლა. მხოლოდ აჯანყების მონაწილე ვლენები და მუშები შეეწირენ მსხვეპლად რევოლიუციას.

← **პოლონეთში** მენშევიკები დასთანხმდნენ სამუშაო დღის გადიდებაზე. მათი ზეგავლენით მუშებმა გაფიცვა მიატოვეს.

← **საბეჭდეთში** მოხდა პლებისციტი — ხალხის დაკითხვა. მცხოვრებთა 77 პროცენტმა — დიდმა უმრავლესობამ რესპუბლიკის გამოცხადებას მისცა ხმა.

← **ლონდონში** 100 ათასი მუშა დაითხოვეს, რადგანაც ისინი არ დასთანხმდნენ მწარმოებლების პირობებზე. ეს ხდება „მუშათა“ მთავრობის ქვეყანაში და მის თვალწინ.



**წერილები რედაქციის მიმართ.**

გთხოვთ თქვენი ჟურნალის ერთ-ერთ უახლოეს ნომერში მოათავსოთ შემდეგი:

ჩვენ მცხოვრებნი ქალაქ ხაშურში ვირიცხებოდით „რუსეთის სოცალ-დემოკრატიულ მენშევიკურ“ პარტიაში 1904 წლიდან. 1914 წლის იმპერიალისტურმა ომმა ნათელყო ყოველი პოლიტიკური მიმართულების ბუნება და მათ შორის მენშევიკურც, მისმა განვითარების შედეგი სამოქალაქო ომის სახით ყველა სოციალისტურ ფრაქციებს შეეხო, და თავისი გაურკვევლობის დალი დასო, აქ შექმნილ ატმოსფეროში არა თუ ჩვენთვის დარჩა გაურკვეველი სწორი მარქსისტული გზა, არამედ მენშევიკურ ბელადებიც გაურკვევლობის ბუდეში მოხდნენ, რაც ნათლათ გამოირკვა ყოფილ მენშევიკების კონფერენციაზე. ესა ჩვენ სრულიათ დარწმუნებული ვართ მაში, რომ კომუნისტურ პარტიას და მის ტაქტიკას აქვს მარქსისტული გამართლება, და მისი განვითარების პროცესი კი უშხადებს ნიადაგს მსოფლიო რევოლიუციის დაჩქარებას და კომუნისმის მსოფლიო დროშის აფრიალებას, ამიტომ სამუდამოთ ვტოვებთ მენშევიკურ პარტიას, როგორც მუშების და გლეხების მოლაღტეს თავისი ყოველ დღიური მოქმედებით, და ვდგები კომუნისტურ პარტიის პლატფორმაზე და შეუწყობთ ხელს ყოველ მხრივ საბჭოთა აღმშენებლობას ჩვენი მუშური ენერგიით.

ქ. ხაშურის დეპ. მუშები:  
**აქვენტი ტაბატაძე.**  
**ა. ზარბაქაძე.**  
**არჩილ ხვედელიძე.**

გთხოვთ ეს ჩემი განცხადება მოათავსოთ თქვენს პატივცემულ ჟურნალ „სიმართლის ხმის“ უახლოეს ნომერში:

1920 წლიდან მე ვირიცხებოდი საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის წევრათ, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ თვალყურს ვადევნებდი საბჭოთა ხელისუფლების მოქმედებას და ამ სამი წლის მათ მუშობამ ღრმით დამარწმუნა, რომ კომპარტია და

საბჭოთა ხელის-უფლება იცავენ მხოლოდ და მხოლოდ მუშათა და გლეხთა ინტერესებს, ამიტომ სრული ჩემის შეგნებით ვალდებულათ ვრაც ჩემს თავს დავსტოვო ს. ს. დ. მ. პარტია და ხელი შეუწყო საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება-გაძლიერებას მუშათა კლასის საკეთილდღეოთ.

გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლიუციას.

გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს.

**პლატონ პეტრეს-ძე მანჯავიძე**

გთხოვთ „სიმართლის ხმის“ უახლოეს №-ში მოათავსოთ ჩვენი გულწრფელი განცხადება:

ჩვენ დღემდის ვირიცხებოდით საქ. სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში (მენშევიკურ), დღეიდგან ვაცხადებთ გულწრფელათ, რომ ყოველივე კავშირს ვწყვეტ მენშევიკურ პარტიასთან, გამოვდივართ მის რიგებიდგან და უერთდებით ყოფილ მენშევიკურ პარტიის 30 აგვისტოს 1923 წლის დადგენილებას და ვიცდებთ ყოველი მათი დადგენილებანი ჩვენი მუშური ცოდნის მიხედვით გაავატაროთ ცოცრებაში.

ქ. ხაშური.  
**ალექსი ვარდიაშვილი.**  
**გიორგი გიონიკიშვილი.**

ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცდენად უმორჩილესათ გთხოვთ მოათავსოთ „სიმართლის ხმის“ უახლოეს №-ში შემდეგი ჩემი განცხადება:

თუმცა ბევრი ხანია რაც ვირიცხებოდი სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრათ, და როგორც ასეთი, შეძლებისდაგვარათ ვასრულებდი პარტიის მიერ მონდობილ სხვადასხვა ხშირათ საპასუხიმგებლო საქმეებს, როგორც პარტიული აგრეთვე საზოგადო ხასიათისას, — მაგრამ უკვე კარგი ხანია, რაც ფაქტურათ ჩამოვეშორი ამ პარტიას.

მიზეზი ამ უქანასწრელისა იყო ხანგრძლივი ავადმყოფობა და უმთავრესათ კი ის, რომ უახროთ მიმანდა არსებულ სინამდვილეში არალეგალური ბრძოლა, რომელსაც ვაწარმოებდით და დღესაც აწარმოებს საქართველოს მენშევიკური პარტიის „ცეკა“ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ამ ხზრისა ვარ დღესაც და ვალდებულათ ვრაც ჩემს თავს ოფიციალურათაც ვაცხადებ, რომ ყოველგვარი კავშირი წინამხსენებულ პარტიასთან და შეუერთდენ იმ ყოფილ ამხანაგებს, რომლებმაც სრულიათ შეგნებულათ და გულწრფელათ დარწმუნდნენ მთლიანი პროლეტარული-რევოლიუციონური ფრონტის აუცილებლობაში და ამ მიზნით ირაზმებინან საბჭოთა სისტემის და პროლეტარიატის დიქტატურის ნიადაგზედ.

**სარედაქციო კოლეგია:**  
**ნ. ჩლობიძე.**  
**ა. ფარნიცი.**  
**ა. რუხაძე.**  
**ქ. ოოვაძე.**  
**გ. ვარდიანი.**